ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 აპრილი, 2023 №76 (9112) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი უცხოური ვალუტის გასალების ფაქტზე ორი პირი დააკავა

ბადრი ესებუა ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს

გვ.5

„ოპოზიცია კეზერაშვილს უნდა გაემიჯნოს“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალებში ორი ფრთა უკვე შექმნილია, აქეთ მელიაა, იქით ხაბეიშვილი. ცირკი კი ის არის, რომ ორივე ფრთა აზის მიხეილ სააკაშვილის ხმებს“

გვ.4

„ქართულ პოლიტიკაში ბინძური ფული არსებობს“

„კეზერაშვილის მიერ ევროპელი პენსიონერების ძარცვა „ქართული ოცნების“ კისერზეა“

გვ.3

პაატა მანჯგალაძე: „არსებობს რამდენიმე ყოფილი მოსამართლე, რომლებიც აპირებენ საგამოძიებო კომისიისთვის ღირებული ინფორმაციის მიწოდებას“

„კობახიძე მაფიის წესებით მოქმედებს“

„ოპოზიცია გაკოტრებულია. ყოველდღიურად თემებს ეძებენ, რომ ხალხი დააბოლონ“



გვ.2

დათო ლორთქიფანიძე: „მოსამართლეების დასანქცირება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელს არ შეუშლის“

„ყირიმი — ეს ბოლო წვეთია, რომელიც პუტინს სავარძელს გამოაცლის“

გვ.4

რატომ გააუქმა რუსეთმა 9 მაისის ტრადიციული სამხედრო აღლუმები უკრაინის მოსაზღვრე რაიონებში?

გვ.5

ძალადობა მოზარდებზე ნინოწმინდის პანსიონში — საქმე სტრასბურში გაიგზავნა

გვ.5

მამაკაცმა გოგონას გატაცების ინსცენირება მოაწყო და მას ხელი სთხოვა

გვ.5

ხანდაზმულმა ქალმა ჯეკპოტი მოხსნა და მოხუცებულთა სახლში პენტჰაუზი იყიდა

გვ.6

ყველის დიეტით მამაკაცმა წონაში 28 კილოგრამი დაიკლო

1993230720223

5 თერჯოლაში შვილმა მამა მოკლა

4 ანდრეი ერმაკს უკრაინული სპეცსამსახურები უთვალთვალებენ?!

5 26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

6 რუსეთმა ბახმუტისაკენ დამატებითი ძალები გადაისროლა

„ოპოზიცია კეზერაშვილს უნდა გაემიჯნოს“

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალებში ორი ფრთა უკვე შექმნილია, აქეთ მელიაა, იქით ხაბეიშვილი. ცირკი კი ის არის, რომ ორივე ფრთა აზის მიხეილ სააკაშვილის ხმებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

— ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. რას იტყვით კეზერაშვილის ირგვლივ განვითარებული სკანდალის შესახებ? იცით, რომ მან გუშინ წერილი გამოაქვეყნა, სადაც აცხადებს, რომ მზად არის ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ასევე ტელევიზიის წილი გადასცა თანამშრომლებს. რა ხდება, თავის გადარჩენას, ან სულაც საპროცესოზე წასვლას ცდილობს კეზერაშვილი? რამდენად „კრიშავდა“ „ქართული ოცნება“ ქოლცენტრების ბიზნესს?

— საპროცესო რამდენად გამოუვა, არ ვიცი. ვინ „კრიშავდა“, წესით, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. რაც შეეხება კეზერაშვილის მხრიდან საკონტროლო პაკეტის დათმობას, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. აქ პრობლემა არის არა კეზერაშვილში, რომელიც „ფორმულას“ აფინანსებს, არამედ კეზერაშვილში, რომელიც გახდა პატრონი ნაცმოძრაობის. და არა მარტო მისი. ტროიკას აფინანსებდა, იცის ეს ყველამ. აი ეს არის უფრო დიდი პრობლემა, ვიდრე ტელევიზია, რომელსაც არაფერი განსაკუთრებული პრობლემა არ შეუქმნია ხელისუფლებისთვის.

— რატომ დაინტერესდა „ბიბისი“ ქოლცენტრების საქმით? ქართულმა მხარემ მიაჩუმათა ეს საკითხი?

— „ბიბისის“ ფილმში კარგად ჩანდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ „ბიბისის“ ჟურნალისტის გამოძიება, იქ ჩართული იყვნენ ქართული და გერმანული სამსახურები. ძალიან კარგად ჩანდა ეს ამ ფილმში. ახლა თუ აქ ვინმეს ახალი ილუზია გაუჩნდა, რომ „ბიბისიმ“ გამოიძია ეს საქმე და შემდეგ გავა ივანიშვილზე, სისულელეა. ივანიშვილი არ არის ისეთი უჭკუო, რომ ქოლცენტრების გამო ხათაბალაში ჩაიგდოს თავი. ოპოზიციამ ეს ხომ უნდა გაიაზროს.

— რამდენად არის იმის შანსი, რომ ივანიშვილის გვერდის ავლით, სუსი „კრიშავდა“ ამ ბიზნესს?

— რადგან ეს იყო ქართულ-გერმანული სპეცოპერაცია, ნაკლებად მგონია, რომ ამ ხელისუფლებიდან მონაწილეობდეს ვინმე. იმ ტოტს ხომ არ მოჭრის ხელისუფლება, რომელზეც ზის?! მაშინ არ გამოიძიებდნენ. ფაქტიურად ქართულმა სპეცსამსახურებმაც გამოიძიეს ეს საქმე.

„ოპოზიცია უფრო არასამთავრობო ორგანიზაციებად იქცა. ააგორებენ რაღაც სისულელეს და მერე ამას მთელი დღე არჩევენ ტელევიზიით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ოღონდ იმ საღამოს ტელევიზიაში მოხვდნენ, დასხდნენ და ილაპარაკონ, მერე რა მოხდება, არ ფიქრობენ“

— რამდენად დაზიანდა ოპოზიცია? განსაკუთრებით ის ფრთა, რომელსაც აფინანსებს კეზერაშვილი?

— რა თქმა უნდა, აზიანებს. თითქოს მორალური უპირატესობა ჰქონდა ოპოზიციას, პროდასავლურები ვართო, ამით ამეტებდნენ თავს ხელისუფლებას. ეს მორალური უპირატესობა, რომელიც შეიძინეს 7-8 მარტის აქციების მერე, ეს გაიფლანგა უკვე. ასეთ დროს უნდა გაემიჯნო, აბა სხვა რა უნდა ქნა. კი, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია, მაგრამ პოლიტიკაში ასე მარტივად არ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია. ჩვენ ხომ ვნახეთ, იგივე ამერიკაში ასეთ ბრალდებებზე რა ხდება ხოლმე. ვინ უყურებს უდანაშაულობის პრეზუმპციას, მსახიობებს უკრძალავენ ხოლმე წლობით ფილმში გადაღებას, სანამ არ გაირკვევა მათი უდანაშაულობა. სადაც ჯონი დეპი იყო დაბლოკილი წლების განმავლობაში ჰოლივუდიდან, ახლა კეზერაშვილი რომელი ანგელოზი მყავს.

— ანუ ეს აზარალებს ოპოზიციას? აქეთ მიდიხართ?

— კი, რა თქმა უნდა, ცალსახად ასეა. სოციოლოგიური კვლევები ჩატარდება და ვნახავთ, როგორ აისახება ეს ყველაფერი ოპოზიციის რეიტინგზე. კარგად გამოჩნდება ის ზიანი, რომელიც ოპოზიციამ მიიღო. ევროპელი პენსიონერების ნაძარცვი ფულით ფინანსდება ოპოზიციის დიდი ნაწილიო და ეს საკმაოდ უხერხულია.

— ევროსტრუქტურებთანაც შეექმნებათ უხერხული მომენტები თუ არ გაემიჯნებიან კეზერაშვილს?

— კი, ნამდვილად ასე იქნება.

— რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ იქ კიდევ უფრო აირია მონასტერი. მელია უკვე ღიად გაემიჯნა პარტიას, საკუთარი ოფისი დაიქირავა. საუბარია, რომ ხაბეიშვილის გადაყენება კიდევ უფრო მეტს უნდა პარტიაში და სერიოზული დაპირისპირება აქვთ.

— ორი თვის წინ რომ გამოაცხადეს ხაბეიშვილი ახალ მხსნელად, მაშინ რას ფიქრობდნენ?! არ ჩანდა ის ნაკლოვანებები, რომელიც მას ჰქონდა?! ახლა აღმოჩნდა, რომ ინგლისური არ სცოდნია? მაშინ არ იყო ეგრე? ახლა კიდევ მორიგი ცვლილება, კიდევ უფრო აურევს ამ პარტიაში ისედაც არეულ სიტუაციას. ამიტომ ჯობია, ვინც ჰყავთ, ისევ ის ჰყავდეთ. ორი ფრთა უკვე შექმნილია, აქეთ მელიაა, იქით ხაბეიშვილი. ცირკი კი ის არის, რომ ორივე ფრთა აზის მიხეილ სააკაშვილის ხმებს. თავიდან ევროპული საქართველოც ძალიან დიდხანს იჯდა სააკაშვილის ხმებზე და ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. როგორც კი საბოლოოდ გამოეცალნენ და გალანძღეს სააკაშვილი, რამდენი ხმაც აიღეს 2020-ში, ყველამ ვნახეთ.

— სერიოზული ცვლილებები სჭირდება ოპოზიციასო. რა ნაბიჯებია გადასადგმელი?

— ოპოზიცია, რასაც მე ვუყურებ, უფრო არასამთავრობო ორგანიზაციებად იქცა. არასამთავრობოს თავის ნიშა აქვს, ამათ თავისი, თუმცა ამას ვერ ხვდებიან. ძალიან ხშირად ცხოვრობენ ხოლმე ერთდღიანი სენსაციებით. ეს ერთდღიანი სენსაცია არ მუშაობს. ხალხი მალე ხვდება, რომ ტყუილია. ააგორებენ რაღაც სისულელეს, მერე ამას მთელი დღე არჩევენ ტელევიზიით. მე რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ოღონდ იმ საღამოს ტელევიზიაში მოხვდნენ, დასხდნენ და ილაპარაკონ, მერე არ ფიქრობენ, რა მოხდება.

— სწორედ ამიტომ ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება ძლიერია ოპოზიციის სისუსტის ხარჯზე. როდემდე გაგრძელდება ეს ვითარება?

— მე ვერ ვხედავ ჯერჯერობით ცვლილების რაიმე ნიშანს. ვართ იქ, სადაც ვიყავით.

— ბატონო თორნიკე, დასანქცირებულ მოსამართლეებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ცდილობს ოპოზიცია, თუმცა ქვორუმის არ არსებობის გამო ვერ ახერხებს. რას ცდილობს ხელისუფლება და რამდენად შედეგიანი იქნებოდა საგამოძიებო კომისია?

— ეს სამართლებრივი საკითხია და არ ვიცი, პარლამენტი როგორ უნდა იძიებდეს სასამართლოს საქმიანობას. მე ეს არ ვიცი. იდეაში გამიჯნულები უნდა იყოს ეს შტოები. გასაგებია, რომ ჩვენთან გამიჯვნა ვერ მოხდა და ნამდვილად არ არის იდეალური სიტუაცია, მაგრამ, მეორე მხრივ, საპარლამენტო კომისია ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში, ესეც ვერ გამიგია რამდენად მართებულია. ერთი რამ ფაქტია, „ქართული ოცნების“ მხრიდან უმრავლესობის ქონით მანიპულირება, არ არის ლამაზი და კარგი საქციელი. ამას იყენებენ, როგორც უნდათ ისე და ეს არ გამოიყურება ლამაზად.

— რას ამტკიცებს „ქართული ოცნება“, რომ ბოლომდე დაიცავს დასანქცირებულ მოსამართლეებს?

— ერთი მხრივ, გასაგებია მათი საქციელი, ჩვენები არიან და დავიცავთ. თუმცა, მეორე მხრივ, გამუდმებით მანიპულირება უმრავლესობით. „ოცნება“ გვეუბნება, უმრავლესობა მე მაქვს და როგორც მინდა, ისე მოვიქცევი.

— გაგრძელდება სანქციები დასავლეთიდან? ხომ არ მიადგებიან „ოცნების“ მაღალჩინოსნებს, იგივე ივანიშვილს?

— არა მგონია. დღეს არ ჩანს ამის ნიშნები არანაირად. ვიცით, რომ ოპოზიციაში ამის იმედით ცხოვრობენ, არიქა, დაასანქცირებენო, მაგრამ არა მგონია. ამას თუ აკეთებს ამერიკა, გამოდის, რომ ხიდებს წვავს ხელისუფლებასთან. ხიდებს თუ წვავს, მერე რის იმედზე უნდა იყოს?! რა, რევოლუცია მოხდება?! ეს სისულელეა. ეს იყო გამაფრთხილებელი სიგნალი, უფრო დატესტვა, როგორ უპასუხებდა ქართული მხარე. გარედან რაც არ უნდა ასანქცირონ, შიგნიდან თუ ოპოზიცია ცოტა არ გადაეწყო, არაფერი არ გამოვა აქედან.

„ოპოზიცია გაკოტრებულია. ყოველდღიურად თემებს ეძებენ, რომ ხალხი დააბოლონ“

დათო ლორთქიფანიძე: „მოსამართლეების დასანქცირება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელს არ შეუშლის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

— ბატონო დათო, „ოცნებამ“ პარლამენტში სასამართლოს შესახებ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარი რატომ არ დაუჭირა? მათ შორის, 2003-2012 წლების სასამართლოს მდგომარეობის გამოძიებაც იქნებოდა.

— აღნიშნული კომისიის შექმნა ე.წ. ოპოზიციამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მოსამართლეებს შეზღუდვა დაუწესდათ. ოპოზიციამ, კონკრეტულად, ამ ფაქტის გამო, ინიციატივა წამოაყენა. წინა პერიოდთან ამას არანაირი საერთო არ ჰქონდა. ეს, უბრალოდ, პოლიტიკური ფანდი იყო, რათა ხელჩასაჭიდი ჰქონოდათ და თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი ამაზე აეგოთ.

ე.წ. ოპოზიცია, ფაქტობრივად, გაკოტრებულია. ყოველდღიურად თემებს ეძებენ, რითაც საზოგადოებასთან რაღაც კომუნიკაცია ექნებათ და რაღაცით დაბოლებენ.

ახლა თერჯოლაში ვარ მოსახლეობასთან შეხვედრაზე. თერჯოლაში მერის არჩევნებია. უბრალოდ, საზოგადოებამ რომ იცოდეს, ხელისუფლების კანდიდატს კონკურენტი არ ჰყავს, ანუ ოპოზიციამ კანდიდატიც ვერ დააყენა. მიხვდით, რა დონეზე არიან გაკოტრებული? მოსახლეობასთან საუბრებში ყველა ხაზს ამას უსვამს.

— რას?

— ოპოზიციას მარტო ტელევიზიით უნდა გამოჩენა თუ რა უბედურებაა. ამხელა მუნიციპალიტეტში, თერჯოლაში, ხელისუფლების მეროობის კანდიდატს კონკურენტი ვერ დაუყენეს. ამით ყველაფერი ნათქვამია.

— პროექტში 2003-2012 წლებში სასამართლოს მდგომარეობის გამოძიებაზეც საუბარი არ იყო?

— არა, საუბარი ახლანდელ პერიოდზე იყო. უბრალოდ, სიტყვის მასალად ჩაწერეს, თითქოს თვითკრიტიკულები არიან. სტატისტიკაზე ლაპარაკი არ მინდა (ამაზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ კარგად ისაუბრა), მაგრამ ისეა, როგორც ცა და დედამიწა.

დღის წესრიგიდან და დღის რეჟიმიდან ამოვარდნილი საკითხი იყო, რომლის პოლიტიკურად გამოყენებას ცდილობდნენ. მმართველი პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელმა პოზიცია დააფიქსირა – ნაცმოძრაობას და მის განაყოფებს ამ თემით სპეკულირებისა და მანიპულირების საშუალებას არ მივცემთ. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა. ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს.

პოლიტიკაში მთავარი მოსახლეობის განწყობები და პოზიციებია, ანუ მოსახლეობა შეაფასებს, ახლა კომისიის შექმნა-არშექმნა რამდენად საჭირო იყო. თერჯოლაში თავისი კანდიდატი რომ ჰყავდეთ, თუ ხელისუფლება კომისიის შექმნას გაექცა და თვალი ვერ გაუსწორა, მოსახლეობა თერჯოლაში ოპოზიციის კანდიდატს მხარს დაუჭერდა და მათი კანდიდატი მერი გახდებოდა.

მოსახლეობას ვერავინ მოატყუებს. მოსახლეობა ხვდება, თუ რისთვის და რის გამოწვევას ცდილობენ ამა თუ იმ თემის გააქტიურებით.

— ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ბეჟაშვილი და სხვები ამბობენ, რომ დღევანდელი სასამართლოს მდგომარეობასთან დაკავშირებით, მთავარია არა სტატისტიკა (რომელიც თქვენც ახსენეთ), არამედ აღქმები, ანუ როგორ აღიქმება დღევანდელი სასამართლოს მდგომარეობა. რას იტყვით?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

პუტინი უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიას ეწვია?!

რუსული ტელეარხების ცნობით, დიქტატორი პუტინი ეწვია უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიას, კერძოდ, მარიუპოლს, ბერდიანსკს, ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქების იმ ნაწილს, რომელსაც რუსი ოკუპანტები აკონტროლებენ.

— ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა ჯარისკაცებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. შემდეგ განაცხადა, რომ უკრაინელებს აუცილებლად გაანადგურებენ, ხოლო თუ ამერიკელები მათ იარაღს კვლავაც მიაწვდიან, აშშ-ს რაკეტებით დააუთოებენ, – იტყობინება რტრ-ი.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის უფროსმა ბუდანოვმა პასუხად განაცხადა, რომ უკრაინის ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში პუტინი არ გამოჩენილა. რუსეთის დიქტატორის ამსახველი კადრები, რუსეთის ტერიტორიაზე გადაიღეს, შემდეგ კი ყოველივე უკრაინად გაასაღეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლიალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კობახიძე მაფიის წესებით მოქმედებს“

პაატა მანჯგალაძე: „არსებობს რამდენიმე ყოფილი მოსამართლე, რომლებიც აპირებენ საგამოძიებო კომისიისთვის ღირებული ინფორმაციის მიწოდებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი პაატა მანჯგალაძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, „ქართული ოცნების“ მცდელობით კიდევ ერთხელ არ შედგა ქვორუმი და ვერ მოხერხდა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა. „ოცნება“ კლანის გადარჩენას ცდილობსო. რას იტყვით თქვენ? რას ცდილობს ამით ხელისუფლება?

– ეს არის ირიბი აღიარება და დადასტურება, რომ კლანი ნამდვილად არსებობს და არსებული კლანის გადარჩენისთვის „ქართული ოცნება“ აკეთებს ყველაფერს. გადაეფარა კობახიძე საკუთარი ტყავით. როგორც მაფიაში მოქმედებს წესები, ზუსტად იგივე წესებით მოქმედებენ. ერთის ჩავარდნა ნიშნავს ყველას ჩავარდნას. რასაც კლანი წარმოადგენს სასამართლო სისტემაში, მაგალითად, მურუსიძე და ჩინჩალაძე, იგივეს წარმოადგენს კობახიძე პარლამენტში. მოკლედ, სამივე შტო უზურპირებული აქვს ივანიშვილს.

ჩვენ რასაც ვამბობთ, ეს არის სიმართლე. სასამართლო კლანის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ. ჩვენ, კონსტიტუციით გვაქვს უფლება, შევქმნათ საგამოძიებო სისტემა. პროცედურული ხრიკებით „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ არ შევქმნათ! რა უფლება აქვს კობახიძეს, ჩვენს კანონით გათვალისწინებულ უფლებაზე გვითხრას უარი?! მარტივ კითხვას ვსვამ. მივყვეთ ლოგიკას, თუ კლანი არ არსებობს და დანაშაულებები არ ხდება, არ არის კორუფცია სასამართლოში, კომისია რომ შეიქმნება, იქ ხომ უმრავლესობაც იქნება წარმოდგენილი, ხოდა, მათ დაადასტურონ, რომ არაფერი არ ხდება. მათთვის უკეთესი არ არის? იტყვიან, რომ ოპოზიცია დავტოვეთ პირში ჩალაგამოვლებული. ჩვენც სათქმელი არაფერი არ გვექნება. რატომ არ აკეთებენ?!

– ოპოზიცია მავნებლობს, ეს კომისია სერიოზულად დაგვაზიანებსო. დასანქცირებული მოსამართლეები არ აზიანებენ?

– ესენი პირად ზიანს გულისხმობენ. რადგან არსებობს შეთანხმება ბიძინა ივანიშვილსა და კლანს შორის, რომ ისინი ერთმანეთის უსაფრთხოებაზე იზრუნებენ. შესაბამისად, თუ კომისია შეიქმნება, ეს პირობის დარღვევას ნიშნავს ამათთვის.

– ეშინია „ოცნებას“ საგამოძიებო კომისიის შექმნის?

– „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად ეშინია საგამოძიებო კომისიის შექმნის.

– რატომ?

– მართალია მოქმედ მოსამართლეებს აუკრძალავენ კომისიასთან თანამშრომლობას, მაგრამ არსებობს რამდენიმე ყოფილი მოსამართლე, რომლებიც აპირებენ საგამოძიებო კომისიისთვის ღირებული ინფორმაციის მიწოდებას. ეს რაღაც ლეგენდა კი არ იქნება კლანის, არამედ კონკრეტული დარღვევები და მტკიცებულებები მათი კორუფციული საქმიანობის შესახებ. პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების შესახებ. მათ შორის „რუსთავი 2“-ის საქმეზეც გაირკვევა სიმართლე. ეს არის, რისაც ეშინიათ. საპროცედურო ბრძოლაა და ეს არ არის საპროცედურო ბრძოლა, ამის უკან იმალება „ქართული ოცნების“ სურვილი, რომ კლანის უსაფრთხოება იყოს გარანტირებული და უზრუნველყოფილი. საგამოძიებო კომისიით კი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეს უსაფრთხოება, საფრთხეები იზრდება, რომ გამჟღავნდეს სიმართლე და ამიტომ იბრძვის კობახიძე ყველანაირად მაფიოზური წესებით.

– ორჯერ ჩავარდა უკვე საკითხი. ვერ შედგა ქვორუმი. კიდევ იქნება ამის მცდელობა?

– კი, აუცილებლად იქნება. ახლა კობახიძის ამოცანაა, გარე პერიმეტრზე მობილიზებული ჰყავს შესაბამისი სამსახურები, რომ დათვალოს, შენობაში არის თუ არა 50 ოპოზიციონერი დეპუტატი. როგორც კი დათვლის ერთ დღესაც და აღმოაჩენს, რომ 50 კი არა, არამედ ოპოზიცია ვართ 48 ან 49, მაშინვე დააყენებს ამ საკითხს და იტყვის, გავიტანე საკითხი და ოპოზიცია არ აღმოჩნდა დარბაზში. ძალიან ძნელია, რომ მთელი დღეების განმავლობაში 50 დეპუტატი იჯდეს დილიდან საღამომდე პარლამენტში უწყვეტად ორი წლის მანძილზე. ამას ხომ ვერ ვიზამთ.

– ანუ ჩასაფრებულ პოზიციაში გადავიდა „ოცნება“ და ელოდება, როდის დააკლდება ოპოზიციას თუნდაც ერთი დეპუტატი?

– კი, ასეა. ელოდება, როდის ვიქნებით 49. კობახიძე ალბათ ლოცულობს, რომ ფეხი მოიტეხოს ვინმემ ოპოზიციიდან.

– მიუხედავად ასეთი სანქციებისა, ხელისუფლება სიტუაციის გამოსასწორებლად არაფერს არ აკეთებს. რა მოლოდინი გაქვთ, გაგრძელდება სანქციები?

– ჩვენ ბოლო 30 წლის განმავლობაში არ გვყოლია ხელისუფლება, რომელიც დასანქცირებულია ჩვენი დასავლელი პარტნიორების მიერ. სასამართლოც ხომ ხელისუფლებაა. ის ძალიან მნიშვნელოვანი შტოა ამ სამ შტოში და სწორედ ამ სასამართლოს ლიდერები და მენეჯერები არიან დასანქცირებულები. ერთიანობაში თუ შევხედავთ, ხელისუფლების ერთი შტოა დასანქცირებული. მოტივი რა ჰქონდა ამერიკას? რა დაწერა ბლინკენმა საჯარო განცხადებაში? საჯარო უფლებამოსილებების კერძო მიზნებისთვის გამოყენება. ზუსტად იგივე მოტივი შეიძლება თქვა კობახიძესა და ღარიბაშვილზე. ესენიც საჯარო პოლიტიკურ უფლებამოსილებას იყენებენ კერძო მიზნებისთვის. იგივე მოტივით თავისუფლად შეიძლება დაასანქცირონ კობახიძეც. ეს იყო გაფრთხილება და თუ ჭკუას არ მოუხმობენ, ამის შესაძლებლობა არსებობს.

– რას იტყვით კეზერაშვილის სკანდალზე? რამდენად აზარალებს ეს ყველაფერი ოპოზიციას? განსაკუთრებით იმ ნაწილს, ვისაც ის აფინანსებს?

– რა თქმა უნდა, აზიანებს. ხოლო ვის აფინანსებს კეზერაშვილი, ეს თვითონ უნდა თქვან. ჩვენ, „სტრატეგია აღმაშენებელს“ არ გვაფინანსებს. ზოგადად ყველას გვაზიანებს, რადგან ახალი საბაბი მიეცა „ქართულ ოცნების“ პროპაგანდას. თორემ ის, რომ აქ კეზერაშვილი ვერანაირ ქოლცენტრებს ვერ ააწყობდა, ეს ზუსტად ვიცი. ოპოზიციის დამფინანსებელმა და ტელევიზიის მფლობელმა, აქ შექმნა 1.000-კაციანი ქოლცენტრები და აქ ფულს აკეთებდა, ეს არის წარმოუდგენელი ამბავი. პარტიაშიც კი, 12-კაციან ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, ჩაგვინერგეს აგენტი და ათასკაციან ქოლცენტრში, კობახიძემ და ღარიბაშვილმა არ იცოდნენ, რას აკეთებდა ეს ქოლცენტრები?!

– თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება მფარველობდა ამ ბიზნესს?

– მე ვფიქრობ, რომ კეზერაშვილი ამ პირებს შეიძლება მართლა იცნობდა, მაგრამ საქმიანი ურთიერთობა, ბიზნესი და გარიგება ამ ადამიანებს, ვისზეც ახლაა საუბარი, ოთხი გვარი რომ დასახელდა, მათ პირდაპირ კონტაქტი ექნებოდათ ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან.

– დღეს კეზერაშვილი რას ცდილობს, თავის გადარჩენას?

– კეზერაშვილმა თქვა, რომ თუ ბრიტანულ გამოძიებას ექნება კითხვები, უპასუხებს. სწორედ ბრიტანული ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს ამ საქმით. ჩვენი ხელისუფლება რატომ არ დაინტერესდა? ის ადამიანები, ვინც დაასახელეს, მათგან ორი, დღესაც საქართველოში ცხოვრობს და აგრძელებს საქმიანობას. დაინტერესდა გამოძიება ამ ადამიანებით?! გარდა პროპაგანდისა, რამე საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს? არა. რატომ? იმიტომ, რომ ამ ხალხს, თუ ისინი ჩართულები იყვნენ ამ საქმეში, კეზერაშვილთან კი არ ჰქონდათ ბიზნესინტერესი, არამედ ხელისუფლებასთან. აი ეს იმალება, ეს არის ყველაზე მთავარი.

„ოპოზიცია გაკოტრებულია. ყოველდღიურად თემებს ეძებენ, რომ ხალხი დააბოლონ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ნაცმოძრაობისა და მათი განაყოფებისთვის (რომლებიც ჩემთვის და საზოგადოებისთვის გაყოფილი არ არის) ყველაფერი აღქმებითაა. ისინი აღიქვამდნენ, რომ, მაგალითად, ადამიანები უნდა მოეკლათ, ადამიანები უნდა დაეშინებინათ. მათი აღქმით, თითქოს სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის აუცილებელი იყო, რომ ქვეყანა შიშის ქვეშ ჰყოლოდათ.

სტატისტიკა არაფერრაო. სტატისტიკის უკან ადამიანი და მისი ოჯახი დგას. სტატისტიკა ადამიანის გარეშე არ არსებობს. მაშინ როდესაც, სასამართლო ადამიანებს ათჯერ ნაკლებ გირაოს გადასახადს ახდევინებს, აღმკვეთი ღონისძიება იმის მესამედზე აღარ გამოიყენება, რამდენიც გამოიყენებოდა, სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი გაუქმებულია, ეს ყველაფერი მარტო სტატისტიკა კი არა, საზოგადოების მაჯისცემის გამოხატულებაა.

აღნიშნული სტატისტიკა ყველა ოჯახზე გადის. ნაცმოძრაობისა და მათი მხარდამჭერების პრობლემაც ესაა, რომ სტატისტიკის უკან, ადამიანებს არ ხედავენ. პოლიტიკურმა პარტიამ ყველა ციფრის უკან ადამიანი უნდა დაინახოს, საზოგადოებისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა მაშინ იქნება.

– „ოცნებამ“ 2012 წელს სახელშელახული სასამართლო ჩაიბარა, რაც აისახა, თუნდაც ევროსასამართლოში ამ პერიოდის საჩივრების ოდენობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე. კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლებოდა, თუნდაც „ოცნებას“ შეექმნა კომისია 2003-2012 წლებში არსებული ვითარების შესასწავლად და დასკვნის დასადებად?



– ნაცმოძრაობას თავისი დადგენილების პროექტში ჰქონდათ შეტანილი (მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ პროექტი სამნიქემ წარმოადგინა, ნაცების შედგენილი იყო) ჩანაწერი, სასამართლოს წმენდის შესახებ. სამართლებრივად და კანონმდებლობიდან გამომდინარე, ხელისუფლება სასამართლოში წმენდას ვერ ჩაატარებს. მაშინ უნდა მოიქცე ისე, როგორც ნაცმოძრაობის წარმომადგენლები იქცეოდნენ. ამიტომ ოპოზიცია, საერთოდ, რეალობასაა მოწყვეტილი. ანუ თვითონ გაიყიდეს თავი.

– როგორ?

– ისევ წმენდაზე ლაპარაკობენ. ე.ი. ვინც უნდათ, დატოვებენ, ვინც არა – გააგდებენ, ისე, როგორც გააკეთეს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, შს სამინისტროში კარი ფართოდ გააღეს და, მაგალითად, საგზაო პოლიციის თანამშრომლები იმ არგუმენტით, რომ საპატრულო პოლიციას აყალიბებდნენ, ორგანოებიდან ყველა გაყარეს. მათ ასე წარმოუდგენიათ.

ამ ადამიანებში არაფერი იცვლება. ისევ წმენდებსა და აღქმებზე ლაპარაკობენ. ასეთია მათი აღქმა. მათი აღქმით, ხალხი შიშის ქვეშ უნდა გყავდეს, რომ შენ ბედნიერად მართო. მათი პრობლემა ეს არის.

– ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს მოსამართლეები დაასანქცირა. თუ გაქვთ ინფორმაცია, ჩვენი პროკურატურა დაინტერესდა და გამოძიება თუ დაიწყო, რა კორუფციაზე საუბრობდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი?

– საუბრის დონეზე ითქვა, მეტი არაფერი.

– კი, მაგრამ, პროკურატურამ მაინც ხომ უნდა გამოიძიოს, დაადგინოს, კონკრეტულად, რა კორუფციაზეა საუბარი?

– საუბარია საჯაროდ გაკეთებულ განცხადებაზე დაყრდნობით. ბოლოს ყველაფერი საჯარო განცხადებებზე დავიდა. თავიდან საუბარი იყო, რომ სამი მოქმედი და ერთი ყოფილი მოსამართლე დაასანქცირეს (მე აბსოლუტურად ობიექტური პოზიციებიდან გამოვდივარ. უბრალოდ, რაც იყო იმის კონსტატაციას ვახდენ). მერე ეს შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ სავიზო შეზღუდვაზე იყო საუბარი და ა.შ. ანუ მათ, როგორც სჭირდებათ, ისე ამბობენ.

– სავიზო შეზღუდვა დასანქცირებას არ ნიშნავს? სავიზო შეზღუდვა სანქციის ერთ-ერთი ფორმა არ არის?

– სამართლებრივად, საერთაშორისო სამართალში სანქცია სულ სხვა რამეს ნიშნავს. ვიზის შეზღუდვა აბსოლუტურად განსხვავებული მოცემულობაა. ამას იმ გაგებით ვამბობ, რომ ესენი პოზიციას სიტუაციის მიხედვით ცვლიან. ამ შემთხვევაში ამას ვგულისხმობ და მეტს არაფერს. დღეს დასჭირდებათ, ასე ამბობენ, ხვალ დასჭირდებათ, ისე იტყვიან.

– მოსამართლეების დასანქცირება ამერიკის მოქალაქის (რომელსაც აქ ნაცების ჯგუფებისთვის ტრენინგები უნდა ჩაეტარებინა) შემოშვებაზე უარის საპასუხო ზომა ხომ არ იყო?

– არა. სხვა ქვეყნების მოქალაქეების შემთხვევაშიც ხდება შემოშვებაზე უარის თქმა. ასე რომ, მიზეზი ეგ არ არის.

– მოსამართლეები რომ დაასანქციროს, დიდი სკანდალი იყო. ეს საკითხი როგორ დასრულდება?

– ეს საკითხი დასრულებულია. ამ მოსამართლეებს სავიზო შეზღუდვა აქვთ დაწესებული. მათ შორის, ზოგიერთის ოჯახის წევრები ამერიკის მოქალაქეები არიან. მათზე სავიზო შეზღუდვა არ მოქმედებს. შეზღუდვა მოქმედებს მათზე, ვინც ამერიკაში არ დაბადებულა და ამერიკის მოქალაქეები არ არიან.

– ანუ ამ მოსამართლეების ოჯახის წევრები ამერიკის მოქალაქეები არიან?

– მგონი, ერთის შვილიშვილია ამერიკაში დაბადებული თუ შვილი ცხოვრობს. თუ არ ვცდები, ყოფილი მოსამართლის, ცერცვაძის ოჯახის წევრი ამერიკის მოქალაქეა. რადგან ამერიკის მოქალაქეა, მასზე შეზღუდვა არ ვრცელდება. დანარჩენი სამი მოქმედი მოსამართლის ოჯახის წევრებზე სავიზო შეზღუდვა იმოქმედებს.

– მოსამართლეების დასანქცირება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელს ხომ არ შეუშლის?

– არა მგონია ამან ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელი შეუშალოს. 12 პუნქტიდან ეს არც ერთს არ მიესადაგება.

– ამ 12 პუნქტიდან ერთ-ერთი სასამართლოს ეხება.

– ვფიქრობ, პოზიტივი იმდენად დიდია სხვა მიმართულებებით, რომ არა მგონია, ეს გადამწყვეტი იყოს. დარწმუნებული ვარ, წლის ბოლოს ამ საკითხის განხილვა იქნება და ჩვენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მივიღებთ.

აშშ-ის ელჩი: „იმ პირების დაცვა, ვინც ჩართულები იყვნენ კორუფციაში, პროფესიონალი მოსამართლეების მიმართ სოლიდარობა არ არის“

– უცნაურად ჩანს იმის თქმა, რომ სოლიდარულები ხართ მოსამართლეების იმ 4 ინდივიდის დაცვით, რომელთა შესახებაც კორუფციაში ჩართულობის სარწმუნო ინფორმაცია არსებობს, – ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა განაცხადა.

ელჩის თქმით, პირების დაცვა, ვინც ჩართული იყვნენ კორუფციაში, არ არის სოლიდარობა პროფესიონალი მოსამართლეების მიმართ.

ელჩმა ასევე განმარტა, რომ ამერიკასა და საქართველოს შორის წარმატებით მუშაობდა მოსამართლეების გაცვლითი პროგრამა, რომელიც აბსოლუტურად ნებაყოფლობითი იყო და არასდროს ჰქონია მოსამართლეების იძულების ფორმა.

– არავითარი შეცდომა არ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეს პროგრამები ღიაა მოსამართლეებისთვის, რომლებიც არიან კვალიფიციურები, რომლებსაც აქვთ დრო მონაწილეობის მისაღებად და რომლებიც მიიღებენ სარგებელს ამ პროგრამისგან იმგვარად, რომ ახალ გამოცდილებას საკუთარ სასამართლო დარბაზებში გამოიყენებენ. ჩვენ არასდროს გამოგვიძახებია მოსამართლეები ან მოგვითხოვია მოსამართლეებისგან, ეს არის აბსოლუტური სიცრუე და ცალსახად არის მცდარი ინფორმაციის შედეგი. ჩვენ გვქონდა ძალიან პოპულარული და წარმატებული გაცვლითი პროგრამა, რაშიც ბევრი ქართველი მოსამართლე მონაწილეობდა და რეალურ სარგებელსა და სიამოვნებას იღებდა.

რაც უცნაურად ჩანს, არის იმის თქმა, რომ ხართ სოლიდარულები მოსამართლეების, რომელთა უმეტესობა უკიდურესად პროფესიონალია და სურს თავისი საქმის გაკეთება კანონის შესაბამისად, იმ 4 ინდივიდის დაცვით, რომელთა შესახებაც არსებობს კორუფციაში ჩართულობის სარწმუნო ინფორმაცია. ეს არ არის დაცვა, ეს არ არის სოლიდარობა პროფესიონალი მოსამართლეების მიმართ, იმ პირების დაცვა, ვინც ჩართულები იყვნენ კორუფციაში, – განაცხადა კელი დეგნანმა.

„ქართულ პოლიტიკაში ბინძური ფული არსებობს“

„კეზერაშვილის მიერ ევროპელი პენსიონერების ძარცვა „ქართული ოცნების“ კისერზეა

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო ხანს საქართველოს პოლიტიკაში დრამატული მოვლენები ვითარდება – ოთხი მოსამართლის სანქცირებას აშშ-ის მხრიდან მოჰყვა ბი ბი სი-ს გამოძიების გამომზეურება, სადაც ყოფილი თავდაცვის მინისტრი და „ფორმულას“ დამფუძნებელი დავით კეზერაშვილი მოხსენიებულია გლობალური თაღლითური ქსელის საკვანძო ფიგურად. დანაშაულებრივ სქემაში ჩართული ქოლცენტრების მთავარი სამიზნე და მსხვერპლი ევროპელი პენსიონერები არიან.

ამ მოვლენებმა მიაყენეს სერიოზული დარტყმები როგორც „ქართულ ოცნებას“, რომელიც სანქცირებულ მოსამართლეებს იცავს, ისე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომლის სპონსორობასაც (ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა პოლიტიკური პარტიის დაფინანსებას) კეზერაშვილი არ მალავს.



კეზერაშვილს მოუწოდებენ, „ფორმულას“ აქტივები ჟურნალისტებს გადასცეს

კეზერაშვილი ამბობს, რომ „საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად“ „ყველა სამართლებრივ ზომას“ მიიღებს, თუმცა, ფაქტია, რომ მისი ისედაც საეჭვო რეპუტაცია ბეწვზე ჩამოეკიდა. ეს მის მიმართ ლოიალურად განწყობილ საზოგადოებასაც ესმის. გავრცელდა ინფორმაცია, რომ არხს რამდენიმე ცნობილი სახე ტოვებს. საზოგადოებისგან გაისმა მოწოდებები, რომ სპონსორმა და დამფუძნებელმა ხელი აიღოს ტელევიზიაზე და თავისი აქტივები ტელევიზიის თანამშრომლებს დაუთმოს.

– მოვუწოდებ ბატონ კეზერაშვილს, გადასცეს თავისი აქტივები ჟურნალისტებს. მართალია, ფული მან ჩადო „ფორმულაში“, მაგრამ ტელევიზია შექმნეს პროფესიონალმა ჟურნალისტებმა, – აღნიშნა მწერალმა ლაშა ბუღაძემ.

მმართველი გუნდის წარმომადგენელი, ვიცესპიკერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ საქართველოს პოლიტიკაში ბინძური ფულის საკითხი ბი ბი სი-ს გამოძიებამდეც აქტუალური იყო:

– არსებობს ქართულ პოლიტიკაში ბინძური ფული, რომელიც იშოვა კონკრეტულმა ადამიანმა ქართული ჯარის, ქართული ბიუჯეტის ძარცვით. ეს თემა ყოველთვის მუსირებდა. საუბარი ახლა არ დაწყებულა. საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი ოდენობის თანხები იქნა აღმოჩენილი.

„ფულიანი ხალხი პოლიტიკას არ უნდა გავაკაროთ“

ფილოლოგი, ყოფილი დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში პოლიტიკოსები უნდა საქმიანობდნენ და არა ფულიანი ადამიანები. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ კეზერაშვილის დანაშაული სასამართლომ უნდა დაამტკიცოს.

ლევან ბერძენიშვილი:

– კეზერაშვილს არ უნდა დავარქვათ დამნაშავე მანამდე, სანამ სასამართლოს ასეთი რამ არ უთქვამს. არის ვარაუდები, რომლებიც ძალიან ჰგავს სიმართლეს, მაგრამ არ არის სასამართლოს დადგენილება და არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ის ისევე იცავს კეზერაშვილს, როგორც ნებისმიერ ადამიანს. მე არ მინდა მილიონერი პოლიტიკაში და ანტიოლიგარქიული კანონი ზუსტად ამ მიმართულებით უნდა მიდიოდეს, რომ ფულიანი ხალხი პოლიტიკას არ უნდა გავაკაროთ.

„მოქალაქეების“ ლიდერი, დეპუტატი ალეკო ელისაშვილი პასუხისმგებლობას მმართველ პარტიასაც აკისრებს.

ალეკო ელისაშვილი:

– პროევროპულ პოლიტიკურ ძალებს აფინანსებს ევროპელი პენსიონერების ქურდი. მაგ ხალხთან არაფერი მაქვს საერთო. კეზერაშვილი რომ 11 წელია დაუსჯელად ძარცვავს ევროპელ პენსიონერებს, ესეც „ქართული ოცნების“ კისერზეა, რადგან ისინი („ოცნების“ წარმომადგენლები) დავით კეზერაშვილთან გარიგებაში იყვნენ. ერთადერთი კაცი საქართველოში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის მერეც ბედნიერი იყო, იყო კეზერაშვილი. კეზერაშვილი აქ იყო და ქართული ჯარი გაძარცვა, ევროპაში წავიდა და ევროპელი პენსიონერები გაძარცვა.

ანალიტიკოსი, სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია „ფორ ჯისთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ კეზერაშვილი და მისი თანამზრახველები სხვა დანაშაულშიც არიან გარეული, ქოლცენტრები კი მათ უკანონო ფულის გასათეთრებლად დასჭირდათ.

– ქოლცენტრები არის ერთგვარი კამუფლაჟი. ქოლცენტრები იმისთვის სჭირდებათ, რომ მომხდარიყო შავი ფულის გათეთრება, რომელიც მიღებულია ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ვაჭრობიდან. ქოლცენტრების მეშვეობით რომ ევროპელი პენსიონერები თანხას რიცხავდნენ, მერე ამას ემატებოდა ჭუჭყიანი ფული. ამას ურევდნენ ერთმანეთში, ხდებოდა ფულის გათეთრება ოფშორულ ზონებში. შემდეგ ეს ფული მიდიოდა კეზერაშვილის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ხმარდებოდა პროპაგანდისტულ ტელევიზიებსა და პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც საქართველოში გადატრიალების მცდელობას აწყობდნენ, – ამბობს ვახტანგ მაისაია.

ვახტანგ მაისაია ამ ტიპის დანაშაულებს სააკაშვილის დროს იკვლევდა. როგორც ცნობილია, ის იმ დროს დააპატიმრეს.

ვახტანგ მაისაია:

– კეზერაშვილისა და მერაბიშვილის დანაშაულებს ვამხელდი, მქონდა მტკიცებულებები. ვაპირებდი, ეს მტკიცებულებები გადამეცა ჩვენი დასავლელი სტრატეგიული მეგობრებისათვის. როცა დამიჭირეს, ვიყავი ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის კონსორციუმის ტერორიზმთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფის წევრი. ჯგუფი იძიებდა ასეთი ტიპის დანაშაულს, მათ შორის, შავი ფულის გათეთრებას, ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერას, იარაღის უკანონო გაყიდვასა და ნარკოტიკების თემას. 2008 წლის სექტემბერში წარვადგინე მოხსენება, სადაც ეს ყველაფერი მქონდა გაშლილი. მერე მიმიწვიეს ლონდონში, დახურულ შეხვედრაზე, სადაც მოხსენებით გამოვედი. შემდეგ ჩემი დაპატიმრების პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს. 2008 წლის ომის დასაწყისამდე შემოვიდა შეიარაღების მარაგი, რომელიც მერე რატომღაც ჩამოიწერა და საეჭვოდ დაემთხვა ვიქტორ ბუტის მარშრუტებს, რომელმაც იმავე მექანიზმით იარაღი გადაისროლა ეკვადორში.

„ყირიმი – ეს ბოლო წვეთია, რომელიც პუტინს სავარძელს გამოაცლის“

რატომ გააუქმა რუსეთმა 9 მაისის ტრადიციული სამხედრო აღლუმები უკრაინის მოსაზღვრე რაიონებში?

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინა ყირიმის დაბრუნებისა და ზოგადად ფრონტზე კონტრშეტევისათვის ემზადება. უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ალექსეი მელნიკი მიიჩნევს, რომ უკრაინამ შეიძლება რუსეთი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ კრემლმა ყირიმის ნახევარკუნძული მოლაპარაკებების გზით, უკრაინისათვის ხელსაყრელი პირობებით დათმოს. ეს და სხვა საკითხები ალექსეი მელნიკმა უკრაინულ მედიასთან განიხილა.

– აშშ-ის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი უკრაინაში, კურტ ვოლკერი აცხადებს, რომ უკრაინას ამჟამად უკვე შეუძლია ყირიმის დეოკუპაციის პროცესის დაწყება. მისი აზრით, პირველი რიგის ამოცანაა ნახევარკუნძულის რუსეთიდან იზოლაცია. ამისათვის აუცილებელია დარტყმების განხორციელება ყირიმის ხიდზე და სევასტოპოლში რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის ბაზის განადგურება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?

– კურტ ვოლკერმა აღწერა ერთ-ერთი ვარიანტი ყირიმის გათავისუფლების შესაძლო სცენარებიდან. მან ჩამოთვალა ყირიმის გათავისუფლების წარმატებული ოპერაციის კომპონენტები. ეს არის ის ვარიანტი, როცა უკრაინული ჯარები ეცდებიან გადაადგილებას ყირიმის მთელ ტერიტორიაზე. ეს სარისკო ოპერაციაა და დიდ რესურსებს მოითხოვს.

სავარაუდოდ, ჩვენი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა დეოკუპაციის სხვადასხვა სცენარს განიხილავს. განცხადებებს სამხედრო-პოლიტიკური გზით დეოკუპაციაზე კრიტიკის ქარცეცხლი მოჰყვა. ჩემი აზრით, ასეთი კრიტიკა დაუმსახურებელია. სინამდვილეში, ეს გზა სავსებით რეალისტურია.

ის, რაც განაცხადა ვოლკერმა, არსებითად, არის პირობების შექმნა იმისათვის, რომ გარკვეულ მომენტში რუსეთი დაჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან.

უკრაინის მხრიდან მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნის დეკლარირება არანაირად არ იქნება იმის დამამტკიცებელი, რომ ქვეყანა მიდის მისთვის არახელსაყრელ კომპრომისებზე.

ოპტიმალური ვარიანტია – ყირიმის მოწყვეტა. პირველ რიგში, უნდა შეწყდეს რუსეთიდან სამხედრო დანიშნულების ტვირთების შემოზიდვა და ჯარების გადმოსროლა. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, როცა რუსეთს არ ექნება სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მოელაპარაკოს უკრაინას „მწვანე დერეფნის“ უზრუნველყოფაზე. ამ დერეფნით მოხდება საოკუპაციო ძალებისა და სამოქალაქო მოსახლეობის იმ ნაწილის გასვლა, რომელიც გასაგები მიზეზებით ვერ დარჩება ყირიმის ტერიტორიაზე, რომელსაც უკრაინის მთავრობა გააკონტროლებს.

– კრემლის საჯარო განცხადებებიდან ვხედავთ, რომ რუსები ამ ომში წაგების და ყირიმის დაკარგვის არც ერთ ვარიანტს არ განიხილავენ. მინიშნებებიც არ ჩანს, რომ საოკუპაციო ხელისუფლება მზადაა რაღაც კომპრომისებისათვის უკრაინასთან. როდის შეიცვლება კრემლის შეხედულება?

– სიტუაცია იცვლება. წინათ კრემლის მეთაურისათვის ყირიმის თემა საერთოდ დახურული იყო. ახლა რუსეთის მხრიდან მიმდინარეობს თავდაცვითი მოქმედებები. ფაქტობრივად, ყველა სამხედრო სამიზნე ყირიმში ხელმისაწვდომი გახდა უკრაინის განადგურების საშუალებებისთვის.

არსებობს დამატებითი მარკერებიც – ყირიმში დასვენების მსურველთა არარსებობა, ასევე შემოთავაზებების ზრდა ქონების გაყიდვაზე მასზე მოთხოვნის უქონლობის ფონზე და სხვა.

ჩვენი დასავლელი პარტნიორები, რომლებიც ფრთხილად ეკიდებიან უკრაინის მხრიდან რუსეთის ტერიტორიაზე შეტევების შესაძლებლობას, ყირიმის საკითხს განსხვავებულად უდგებიან.

ვფიქრობ, რომ პუტინი თავის პოზიციაზე ბოლომდე იდგება. მას ესმის, რომ ყირიმი ბოლო წვეთია, რომელიც მას სავარძელს გამოაცლის. ამასთან, რუსეთი ყირიმში თავდაცვისთვის ემზადება.

– ახლოვდება 9 მაისის ზეიმი. რუსეთის იმპერიის განაპირას შეინიშნება „პარადების გაუქმების პარადი“. კერძოდ, ეს ხდება ბელგოროდის ოლქში, კურსკსა და ბრიანსკში. რუსეთში ამას იმით ხსნიან, რომ არ უნდათ „მოწინააღმდეგის პროვოცირება“. მიგაჩნიათ თუ არა, რომ უკრაინასთან ახლოს მდებარე რუსეთის ტერიტორიები, ყირიმის მსგავსად, ხელშეუხებელი აღარაა?

– პარადს უზარმაზარი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. რუსეთის ხელისუფლებამ ძალიან მაღლა ასწია აღლუმის მიმართ საზოგადოების ყურადღების გრადუსი. ეს საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა, როგორც საზოგადოების მობილიზაციისა და მილიტარიზაციის ინსტრუმენტი. ამჟამად რუსეთი იძულებული გახდა, გაეუქმებინა ეს პარადები.

ეს გამოწვეულია არა იმდენად უსაფრთხოების მოსაზრებებით, არამედ, იმით, რომ ხელისუფლება არ არის დარწმუნებული, რომ აღლუმი წინანდელ ემოციებს გამოიწვევს. მაგალითად, ბელგოროდის ოლქში ათობით სოფლიდან განახორციელეს მოსახლეობის ევაკუაცია. ეს დასახლებული პუნქტები სამხედროებმა დაიკავეს. იქიდან მიმდინარე შეტევებს უკრაინა სროლებით პასუხობს.

ანდრეი ერმაკს უკრაინული სპეცსამსახურები უთვალთვალებენ?!

ეს დეტექტიური ისტორია დასაბამს ე.წ. „პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების“ გასაჯაროებიდან იღებს. მათში ლაპარაკია უკრაინის პარლამენტის დეპუტატ ბოგუცკაიას ზარზე უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელ ანდრეი ერმაკთან. ზარი უკრაინულმა სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს და ინფორმაცია ამერიკელებს გადასცეს.

ანდრეი ერმაკი ფრიად კოლორიტული ფიგურაა. მის კავშირზე რუსეთთან არაერთგზის იუწყებოდა ამერიკული მედია. იური შვეცმა კი ამას სპეციალური გადაცემაც მიუძღვნა. მიუხედავად ამისა, ერმაკი დღემდე თანამდებობაზეა. მეტიც: მისი გავლენა ქვეყანაში უდიდესია. დღეისათვის ერმაკი ფაქტიურად მართავს უკრაინას. იური შვეცი სწორედ რუსეთთან კავშირებით ხსნის უკრაინული სპეცსამსახურების დაინტერესებას ერმაკის პერსონით.

– რუსეთ-უკრაინის ომი გადამწყვეტ ფაზაში შედის! ასეთ დროს მაღალ თანამდებობაზე ისეთი პერსონაჟის ყოფნა, როგორიც ერმაკია, ელემენტარულად საშიშია! უკრაინელი ჩეკისტები ამას უკვე გრძნობენ. მეტიც, იმასაც ხვდებიან, რომ ყოველივე შესაძლოა გრანდიოზული სკანდალით დასრულდეს, – აცხადებს შვეცი.

ბოგუცკაიამ ერმაკს რუსეთის დიქტატორ პუტინის წინააღმდეგ არსებული შეთქმულების შესახებ მოახსენა. შეთქმულებას თითქოს სათავეში უდგანან რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი პატრუშევი და გენერალური შტაბის უფროსი გერასიმოვი. ბოგუცკაია ერმაკს არწმუნებდა, რომ ინფორმაცია კრემლის უმაღლესი ინსტანციებიდან მიიღო.

– რასაკვირველია, ესაა „დეზა“! ბოგუცკაია ის ფიგურა არაა, რომელსაც კრემლში ინფორმაციის წყაროები აქვს! – თქვა შვეცმა.

დღეს სწორედ ერმაკი აკონტროლებს ფულის იმ უზარმაზარ მასას, რომელიც უკრაინაში შედის. ასევე მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ უკრაინული სპეცსამსახურები ბოლოს და ბოლოს დაინტერესდნენ ერმაკის პერსონით. როგორც ჩანს, სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს სურთ მოახლოებული სკანდალის წინ თავი დაიზღვიონ და საკუთარი ტყავი გადაირჩინონ.

უკრაინა ახალგაზრდა სახელმწიფოა. მის მმართველობაშიც ბევრი რამ არ არის რიგზე. იქ უხვად შეხვდებით სხვადასხვა ჯურის აგენტებს, ავანტიურისტებს და მაფიოზებს. მიუხედავად ამისა, რუსეთ-უკრაინის ომმა გვიჩვენა, რომ ხალხი სამშობლოს დასაცავადაა შემართული. ეს კი ყველაზე საიმედო გარანტია იმისა, რომ უკრაინა გაიმარჯვებს.

უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ რა გაგრძელება ექნება ერმაკ-ბოგუცკაიას სატელეფონო საუბრის გასაჯაროებას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თერჯოლაში შვილმა მამა მოკლა

თერჯოლაში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, შვილმა მამა ბლაგვი საგნით მოკლა.

როგორც „ინტერპერსნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მამაკაცი სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება კი სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ბადრი ესებუა ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს



„საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებული ბადრი ესებუა ფსიქიატრიული ექსპერტიზისთვის შესაბამის დაწესებულებაში გადაიყვანეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ესებუას უფლებადამცველმა იოსებ ჯანაშიამ განუცხადა.

მისი თქმით, გამოკვლევის ჩატარებას 10-15 დღე დასჭირდება. ადვოკატის ინფორმაციით, ბადრი ესებუას საქმეზე სასამართლო სხდომები ექსპერტიზის დასრულების შემდეგ გაგრძელდება.

– დღეს გავიგე, რომ ბადრი ესებუა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს. პროკურატურას ჰქონდა მისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა და სასამართლომ დააკმაყოფილა, იძულებით გადაყვანაზე განჩინება იყო გაცემული და ჩვენი პოზიციის მიუხედავად, მაინც ასე მოხდა. როგორც ვიცი, გუშინ გადაიყვანეს. გამოკვლევის ჩატარებას 10-15 დღე დასჭირდება. დღევანდელი პროცესი გადაიდო და ექსპერტიზის დასრულების შემდეგ გაგრძელდება სასამართლო სხდომები, – განაცხადა იოსებ ჯანაშიამ.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ვინ არის მძღოლი, რომელსაც წუხელ ვარკეთილში მოზარდი შემოაკვდა

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს ავტომობილის მძღოლი, რომელიც ვარკეთილში მოზარდს დაეჯახა და მიიმალა.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ჯერ ხეს შეეჯახა, შემდეგ კი, ტროტუარზე მდგომ არასრულწლოვანს, რომელიც მიღებული დაზიანებებით ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ძალადობა მოზარდებზე ნინოწმინდის პანსიონში — საქმე სტრასბურში გაიგზავნა



ნინოწმინდის პანსიონში მოზარდებზე ძალადობის საქმე სტრასბურშია. ევროსასამართლოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების დასადგენად 5 ყოფილმა აღსაზრდელმა მიმართა.

მოსამართლეთა დიდ პალატას ახლა მაგიდაზე პანსიონში ბავშვების წამების, დამცირების და არაადამიანური მოპყრობის ყველა მტკიცებულება უდევს.

წლებია, დაზარალებული ბავშვები და მათი უფლებადამცველები საქართველოს პროკურატურისგან რეაგირებას ითხოვენ, თუმცა უწყება საქმეს არ იძიებს.

რუსთავში მანქანაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავს“ გარდაცვლილი კაცის ოჯახის ახლობელმა განუცხადა, შუა ხნის კაცი ავტომობილის მართვის დროს შეუძლოდ გახდა, ავტომობილი სავალი ნაწილიდან გადააყენა და გააჩერა, რათა წამალი დაელია, თუმცა ვერ მოასწრო და მოულოდნელად გარდაიცვალა.

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი უცხოურენული ვალუტის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებთან კოორდინაციით გატარებული ღონისძიებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, სხვადასხვა პირზე, საქონლის შეძენისას გასაღებულ იქნა ჯამში 2 200 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი 100-დოლარიანი კუპიურა.

– გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოხდა დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირება და დაკავება.

გამოძიების პროცესში ერთ-ერთი ბრალდებულისაგან დამატებით ამოღებულ იქნა 1 800 ევროს ოდენობის 9-ცალი ყალბი კუპიურა და 1-ცალი ყალბი 50-დოლარიანი კუპიურა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში თანამონაწილე პირების დადგენა-მხილების მიზნით, – ნათქვამია ინფორმაციაში.

26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ 26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ 26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ 22 წლის კაცს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პროცესზე ბრალდებულმა სიტყვის თქმის უფლებით არ ისარგებლა. მხარეების დასკვნითი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კი სახელმწიფო ბრალდებამ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მოითხოვა დაკავებულის დამნაშავედ ცნობა, რაც მოსამართლე მამუკა წიკლაურმა გაითვალისწინა და თორნიკე გამხვეტელაშვილი დამნაშავედ ცნო.

საქმე ეხება თელავში გასული წლის 9 ოქტომბერს მომხდარ მკვლელობას. 26 წლის ქალი არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა კაცმა წლინახევრის შვილის თანდასწრებით ნაქირავებ ბინაში მოკლა.

სავარაუდო დამნაშავე პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა. გამოძიება მომხდარ ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 11, 109-ე მუხლით მიმდინარეობდა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენამდე რამდენიმე დღით ადრე თორნიკე გამხვეტელაშვილი ცოლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისთვის დააკავეს, თუმცა თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მამუკა წიკლაურმა ბრალდებულის დაკავება უკანონოდ ცნო და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

სასამართლომ „პუბლიკას“ დირექტორს 2.200-ლარიანი ჯარიმა დააკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოცემა „პუბლიკის“ თანადამფუძნებელი და დირექტორი, ზურაბ ვარდიაშვილი სამართალდამრღვევად ცნო და 2.200-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

ზურაბ ვარდიაშვილი 2 მარტს პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს.

მას ბრალად ედებოდა წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ჯვარში კორპუსის აივნის ჩამონგრევისას ქალბატონი დაშავდა



წალენჯიხის სოფელ ჯვარში საცხოვრებელი კორპუსის აივანი ჩამოინგრა. შემთხვევის დროს აივანზე 50 წლამდე ქალი იმყოფებოდა, რომელიც ნგრევის შედეგად ქვედა სართულის აივანს დაეცა.

მძიმე მოტეხილობებით ქალი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას კვლევები უტარდება.

შემთხვევის შედეგად სხვა არავინ დაშავებულია.

კალეიდოსკოპი

ხანდაზმულმა ქალმა ჯეკპოტი მოხსნა და მოხუცებულთა სახლში პენტჰაუზი იყიდა

დიდი ბრიტანეთის კენტის საგრაფოს მკვიდრმა ხანდაზმულმა ქალბატონმა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა და მოხუცებულთა სახლში პენტჰაუსი შეიძინა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა. 83 წლის შეილა გარეტმა 500 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო. მისი თქმით, ის სიხარულისგან ცეკვავდა, როდესაც შეიტყო, რომ სოლიდური თანხის მფლობელი გახდა. პენსიონერი ქალბატონი თავიდან ბუნგალოს ყიდვას აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა, როდესაც შეიტყო, რომ ხანდაზმულთა სახლის ზედა კომპლექსი, რომელშიც ის ცხოვრობდა, გასაყიდად იყო გამოტანილი. ქალმა 60 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი დახარჯა პენტჰაუსის შესაკეთებლად და ის ნათელ და მოსახერხებელ შენობად აქცია. ის ასევე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

ქალი დარწმუნებულია, რომ მომავალში ისევ გაიმარჯვებს ლატარიის გათამაშებაში და ამ შემთხვევაში ის უკვე პენტჰაუსის ყიდვას ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში აპირებს, სადაც კერძო თვითმფრინავით იფრენს.

ალმასში უიშვიათესი ალმასი აღმოაჩინეს

ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ სურატში მდებარე კომპანია V D Global-მა უნიკალური „ალმასი იპოვა ალმასში“, რომელიც ყველაზე უიშვიათესად ითვლება.

უნიკალურ უფერო ალმასს, რომლის წონა 0,329 კარატს შეადგენს „მფეთქავი გული“ უწოდეს. აღნიშნული ალმასი იმითაა განსაკუთრებული, რომ მასში პატარა ალმასია და ის შიგნით თავისუფლად მოძრაობს.

V D Global-მა კონსულტაცია გაიარა საერთაშორისო კორპორაცია De Beers-ში და შემდეგ ის დამატებითი ანალიზისთვის დიდი ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ მეიდენჰედის ლაბორატორიაში გადააგზავნა. გამოკვლევები სხვადასხვა ინსტრუმენტების, მათ შორის, ოპტიკური და ელექტრომიკროსკოპული ხელსაწყოთიც მიმდინარეობდა.

– 30 წელია ალმასის მომპოვებელ სექტორში ვმუშაობ და „მფეთქავი გულის“ მსგავსი არაფერი მინახავს, – განაცხადა საერთაშორისო კორპორაციის ტექნიკური განათლების სპეციალისტმა სამანტა სიბლიმ.

მამაკაცმა გოგონას გატაცების ინსცენირება მოაწყო და მას ხელი სთხოვა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მკვიდრმა ლიბანში მოგზაურობის დროს შეყვარებულის შეიარაღებული გატაცების ინსცენირება მოაწყო, რის შემდეგაც გოგონას ხელი სთხოვა. ამის ამსახველი ვიდეო ტიკტოკზე მამაკაცის დამ გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ მამაკაცის შეყვარებული ვანესა ავტომობილის უკანა სავარძელზე ყავას სვამს. ეს ყველაფერი ქალაქ ენფეხის მახლობლად ხდება. მოულოდნელად ავტომობილს ნიღბიანი მამაკაცები აჩერებენ, გოგონას პისტოლეტებით ემუქრებიან, თვალებს უხვევენ, სხვა ავტომობილში სვავენ და მიჰყავთ. შემდეგ კი თვალებიდან სახვევს ხსნიან.

მოულოდნელად ირთვება მუსიკა, ვანესას შეყვარებული ადამი მას ყვავილების თაიგულს აწვდის და ცოლად გაყოლას სთხოვს. ემოციებს აყოლილი გოგონა ერთდროულად სლუკუნებს და იცინის.

ადამის დის ტალიას თქმით, ვანესას ყოველთვის სურდა, რომ მისთვის ხელი ლიბანში ეთხოვათ, ასე რომ, უზომოდ ბედნიერი დარჩა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბლინკენი: „რუსეთის შეკავება აუცილებელია!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ დიდი შვიდეული უკრაინას კვლავაც მხარს უჭერს. მიზეზი მარტივი და პროზაულია: რუსეთმა დაიწყო აშკარა აგრესიული პოლიტიკა; ის არა მხოლოდ უკრაინას, არამედ ევროპას, აშშ-ს და მთელს მსოფლიოს ემუქრება.

რუსეთმა ბახმუტისაკენ დამატებითი ძალები გადაისროლა



როგორც ცნობილია, არ შესრულდა ვლადიმერ პუტინის ბრძანება აღდგომისათვის ბახმუტის აღების შესახებ. მეტიც, რუსი ოკუპანტები ქალაქის ცენტრიდან გამოაძევეს. ბახმუტი მთლიანად დაინგრა. მიუხედავად ამისა, ქალაქზე კვლავ უკრაინული დროშები ფრიალებს.

– როცა ჩვენი ჯარისკაცები ამა თუ იმ სახლს იკავებენ, უკრაინელები ამ სახლს ჩვენი ჯარისკაცებიანად აფეთქებენ! ასეთი ველურობის მნახველი არა ვარ! –აცხადებს ბანდიტური ფორმირება „ვაგნერის“ თავკაცი პრიგოჟინი.

რუსებმა დონეცკის ფრონტიდან ძალები მოხსნეს და ბახმუტისაკენ გადაისროლეს. ოკუპანტები ცდილობენ, სრული კონტროლი დაამყარონ ივანივსკოესა და ხრომოვოეზე. ეს საშუალებას მისცემს მათ, გავიდნენ სტრატეგიული მნიშვნელობის ტრასაზე.

ბახმუტის გარდა უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზეც ბრძოლებია. მათი ეპიცენტრი კვლავ დონბასია. რუსი ოკუპანტები კვლავ ცდილობდნენ ალყა შემოერტყათ ავდეევკისათვის და მარინკაზე სრული კონტროლი დაემყარებინათ. ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. პასუხად რუსებმა დაბომბეს ავდეევკა, მარინკა, აგრეთვე სლავიანსკი და კრამატორსკი.

ბრძოლებია უკრაინის სამხრეთშიც. აქ რუსი ოკუპანტები გადასულნი არიან თავდაცვაზე. ისინი მხოლოდ უკრაინული სოფლების დაბომბვებით იფარგლებიან. დაიბომბა მთელი ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქის ის ნაწილი, რომელსაც უკრაინელები აკონტროლებენ. რუსებმა დაარტყეს ნიკოპოლს, აგრეთვე ნიკოლაევის და ოდესის ოლქებს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე კი სულ უფრო აქტიურდებიან უკრაინელი პარტიზანები. აფეთქებების სერია არ წყდება მელიტოპოლში, ბერდიანსკში, მარიუპოლსა და ხერსონის ოლქის იმ ნაწილში, სადაც ოკუპანტები ბატონობენ. რუსებმა პასუხად გააააქტიურეს უკრაინული სოფლების დაბომბვა. გაძლიერდა რეპრესიები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ზელენსკი ფრონტის მოწინავე ხაზს ესტუმრა

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ფრონტის მოწინავე ხაზზე გაეგზავრა. ის ავდეევკას ესტუმრა და იქ მყოფ უკრაინელ მეომრებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა.

– მე ჩემს პოსტზე ვრჩები, თქვენ თქვენსაზე დარჩით! ასე იქნება მანამ, სანამ ოკუპანტებს არ გავაძევებთ! – თქვა ზელენსკიმ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აშშ-ის, ინგლისის და კანადის ელჩები გამოიძახეს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აშშ-ის, ბრიტანეთის და კანადის ელჩები გამოიძახეს. აქ მათ ოფიციალურად პროტესტი გამოუცხადეს. მიზეზი აშშ-ის ელჩის ტრეისის განცხადება იყო. მან რუსი ოპოზიციონერი ჟურნალისტის ვლადიმერ ყარა– მურზას გასამართლების გამო პროტესტი განაცხადა. როგორც ცნობილია, ყარა-მურზა სასტიკად აკრიტიკებდა რუსეთის აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. რუსულმა სასამართლომ მას ამის გამო 25 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

– რუსეთი სტალინურ წესებს უბრუნდება! – ასეთი იყო მომხდარზე აშშ-ის ელჩის ტრეისის კომენტარი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდარის გამო ოფიციალური პროტესტი გამოთქვა.

– ტრეისის განცხადება სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევა, – ამტკიცებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ალიგატორმა მამაკაცს ფეხი მოაჭამა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტაიტუსვილში ალიგატორი თავს დაესხა მამაკაცს და მას ფეხი მუხლს ქვევით მოაჭამა.

72 წლის მამაკაცი უფეხოდ ალიგატორის თავდასხმის შედეგად დარჩა. მტაცებელი რეპტილია მას თავს პარკის ტერიტორიაზე, ავტოსახლებისთვის განკუთვნილ კემპინგში დაესხა. დაშავებული მამაკაცი შვეულმფრენით ტრავმატოლოგიურ ცენტრში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

მამაკაცზე თავდასხმის შემდეგ ალიგატორი წყლის სიღრმეში მიიმალა. ფლორიდის ბუნებისა და თევზის რესურსების დაცვის კომისიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შემთხვევის ადგილზე ალიგატორების დაჭერის სპეციალისტი გაიგზავნა. მან ორი რეპტილიის დაჭერა მოახერხა, თუმცა, მონაწილეობდა თუ არა რომელიმე მათგანი ადამიანზე თავდასხმაში, ამ დროისთვის უცნობია.

ცხოველის ადამიანზე თავდასხმის მიზეზი უცნობია, თუმცა ეს შესაძლოა ალიგატორების შეწყვილების პერიოდს უკავშირდება, რომელიც მათ აპრილის პირველ დღეებში ეწყებათ. ამ დროს ალიგატორები ჩვეულებრივზე აქტიურები და აგრესიულები ხდებიან.

ჩინელი ქათმების შეშინებისთვის ციხეში აღმოჩნდა

ჩინეთში მამაკაცმა მეზობლის ათასზე მეტი ქათამი საშინლად შეაშინა, რისთვისაც ნახევარი წლით ციხეში ამოყო თავი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩინელი, გვარად გუ დამნაშავედ ცნეს 1100 ქათმის შეშინებაში. აღნიშნული ინციდენტი 2022 წლის აპრილში მისი მეზობელ ჩუუნთან კამათის შემდეგ მოხდა, როდესაც მეზობელმა გუს ეზოში მის დაუკითხავად მოჭრა ხეები.

სასამართლომ დაადგინა, რომ გუმ ღამის საათებში რამდენჯერმე შეაღწია ჩუუნის ქათმების ფერმაში. მას ამ დროს თან ჰქონდა ფანარი, რომლის შუქმაც ფრინველებში პანიკა გამოიწვია. შეშინებული ქათმები კუთხეში მიიყუჟნენ, რის შედეგადაც წარმოქმნილ ჭყლეტაში რამდენიმე ასეული ფრინველი დაიღუპა.

პირველ ჯერზე პანიკამ 500 ქათამი იმსხვერპლა. ამის შემდეგ გუ პოლიციამ დააკავა და მას ჩუუნისთვის კომპენსაციის სახით 3000 იუანის გადახდა დააკისრა. თუმცა მოგვიანებით გუ ისევ შეიპარა მეზობლის ფერმაში და ამჯერად მის მიერ დათესილ პანიკას 600 ქათამი ემსხვერპლა.

საბოლოოდ ჩუუნის ზარალი 13.840 იუანად იქნა შეფასებული. გუს ექვსი თვით პატიმრობა და ერთი წლით პირობითი პატიმრობა შეეფარდა.

სიზმარში ნანახმა ციფრებმა ქალს სიმდიდრე მოუტანა



მალაიზიაში მაღაზიის მფლობელმა, 54 წლის ქალმა ლატარიაში სოლიდური თანხა სიზმარში ნანახი ციფრების წყალობით მოიგო.

ქალმა ლატარიის ბილეთში ციფრების ორი კომბინაცია: 5785 და 3887 მიუთითა. პირველი კომბინაცია მას სიზმარში არაერთხელ ჰქონდა ნანახი, ხოლო მეორე რამდენჯერმე შენიშნა მანქანების სარეგისტრაციო ნომრებზე, როდესაც ნათესავთან ქალაქ ბანტინგში მიემგზავრებოდა.

ორივე კომბინაცია ამოვიდა ლატარიის გათამაშებაში და მას მოგების სახით 16,3 მილიონი მალაიზიური რინგიტი მოუტანა.

გათამაშების გამარჯვებულის აღიარებით, ის იმდენად გაოგნებული აღმოჩნდა, რომ მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭავს. ის მოგებული ფულით სახლის ყიდვას და დასასვენებლად წასვლას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გივი მაჭარაშვილი ევროპის ჩემპიონია

ზაგრებში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს საქართველოს ნაკრებმა 2 მედალი მოიპოვა – ოქრო და ბრინჯაო.

ჩემპიონი გივი მაჭარაშვილი გახდა 97 კილოგრამში, ხოლო მესამეზე ედემი ბოლქვაძე (65) გავიდა.

მაჭარაშვილი ფინალში აზერბაიჯანელ მაგომედხან მაგომედოვს დაეჭიდა. ჩვენებურმა პირველი პერიოდი 0:3 დათმო, მაგრამ მეორეში მეტოქეს 4 ქულა აართვა და 4:3 იმარჯვა.

ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი მედლით აღნიშნა 26 წლის ბოლქვაძემ. ჩვენებურმა დამამშვიდებელ წრეში შვეიცარიელი ნინო ლოიტერტი 6:0 დაამარცხა, ბრინჯაოსთვის კი, რუმინელ სტეფან იონუც კომანთან 2:2 დასრულდა, მაგრამ ბოლო ქულის წყალობით, გამარჯვება ქართველს დარჩა.

ევროპირველობაზე კიდევ 4 მედლისთვის მოპოვების შანსი გვაქვს: ფინალის საგზური გენო პეტრიაშვილმა (125) მოიპოვა, ვინც ოქროს მედლისთვის „მარადიულ“ მეტოქეს, თურქ ტაჰა აკგულს შეხვდება.

ბრინჯაოსთვის შოთა ფარტენაძე (61), ავთანდილ კენჭაძე (74) და მირიან მაისურაძე (92) იჭიდავებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რუსუდან ბოლქვაძე საკუთარ სპექტაკლში ითამაშებს

მსახიობი და რეჟისორი რუსუდან ბოლქვაძე საკუთარ სპექტაკლში ითამაშებს. თურქი დრამატურგის თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „ზვავი“ იგი ლია კაპანაძეს შეცვლის.

კინომსახიობთა თეატრში დადგმული სპექტაკლი მაყურებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ხანმოკლე პაუზის შემდეგ სცენაზე დაბრუნებულ წარმოდგენაში მთავარი როლის შემსრულებლები გიორგი ყიფშიძე და ანი იმნაძე ანა მარია გურგენიშვილმა და ლუკა ჩიბუხაიამ შეცვალეს. სპექტაკლში მონაწილეობენ ლაურა რეხვიაშვილი, რამაზ იოსელიანი, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ნიკა წერედიანი, გვანცა გურგენიშვილი, ანრი ბიბინეიშვილი.

რუსუდან ბოლქვაძემ კი ლია კაპანაძე მის გამოჯანმრთელებამდე ჩაანაცვლა:

– ჩვენი ძვირფასი ლია კაპანაძის გამოჯანმრთელებამდე მე მოგევლინებით სცენაზე.??იმედია ბევრჯერ არ მომიწევს თამაში. 21 აპრილს გელით.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ 100 წლისაა

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ლეგენდარული ოპერა „დაისი“ 100 წლისაა. ნაწარმოების საუკუნოვან იუბილეს რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ სპექტაკლი მიუძღვნა.

29 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ პრემიერა გაიმართება. წარმოდგენა ოპერის პირველი დადგმიდან 100 წელთან დაკავშირებით ჩატარდება.

სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი რევაზ ტაკიძეა, დამდგმელი რეჟისორი – გოჩა კაპანაძე, სცენოგრაფია, განათება და კოსტიუმები – გიორგი ალექსი-მესხიშვილს ეკუთვნის, მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელია, ქორეოგრაფი – ილიკო სუხიშვილი, ვიდეოპროექციის ავტორი კი – დავით მაჭავარიანი.

ლანა ღოღობერიძე: „ვიფიქროთ დღეს. ვიმოქმედოთ დღეს“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გაგნებას ცდილობ. 1934 წელს ნუცამ თქვა, რომ ქვეყანა დგას გზის გასაყარზე, საიდანაც ყველა გზა სასიკვდილოა. დღეს?

„იცხოვრო იმისთვის, რომ მოყვე“ – ამბობს მარკესი.

მეც მაქვს ეს შეგრძნება. ვიცხოვრე იმისთვის, რომ მომეყოლა. იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრება იმ დიდი ისტორიული კატაკლიზმების ანარეკლია, რომლებიც დღესაც ჭრილობად ატყვია ჩვენს ქვეყანას. ჭრილობას კი აქვს ეს თვისება – ის შეიძლება გაიხსნას და სისხლიც გადმოსდინდეს...

ცალკეული მოგონებებიდან იქმნება ერის გენეტიკური მეხსიერება, რომელიც ჩაგვძახის: თუ გვინდა ნამდვილ, თანამედროვე, ევროპულ, დემოკრატიულ ქვეყანაში ვიცხოვროთ, აუცილებელია კარგად გავიაზროთ და გავაანალიზოთ წარსული. დღეს ეს ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული. გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ის ჭრილობები საბოლოოდ შეხორცდეს.

გავიაზროთ ჩვენი ადგილი სამყაროში.

ვიფიქროთ დღეს. ვიმოქმედოთ დღეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ყველის დიეტით მამაკაცმა წონაში 28 კილოგრამი დაიკლო

ინგლისის ქალაქ ჰატფილდის მკვიდრმა 36 წლის ალან პანდერმა ყველის დიეტის წყალობით წონაში 28 კილოგრამი დაიკლო.

მამაკაცის თქმით, ადრე ის გლიუტენის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებით იკვებებოდა და დღეში ოთხიათას კილოკალორიას იღებდა. გარდა ამისა, ის მუდმივად მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელებს. მეგობრებთან წვეულებაზე შეეძლო ერთი ბოთლი ვისკი და 10 ბოკალი ღვინო დაელია. კოვიდ 19-ის პანდემიის დროს პანდერი ძირითადად სახლში იჯდა, ნაკლებს მოძრაობდა და მალე მისმა წონამ 107 კილოგრამს მიაღწია.

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ბრიტანელმა, უარი ეთქვა გლიუტენის შემცველ რაციონზე და კეტო-დიეტაზე გადავიდა. ეს არის კვების რეჟიმი, როდესაც ადამიანი რაც შეიძლება ნაკლებ ნახშირწყლებს იღებს. საუზმეზე პანდერი 200 გრამ მაგარ ყველს მიირთმევდა, სამსახურში სადილად მიჰქონდა 250 გრამი ყველი დაჭრილი მომცრო ნაჭრებად, ხოლო ვახშამზე ერთ თეფშ ყველს მიირთმევდა და ერთ ჭიქა წყალს აყოლებდა.

ამ დროისთვის პანდერის წონა 79 კილოგრამს შეადგენს, ის კვლავაც კეტო-დიეტის რეჟიმზე იმყოფება და სპორტდარბაზსაც მუდმივად სტუმრობს სავარჯიშოდ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ნაპოლი ლიგიდან გავარდა, კვარამ პენალტი ვერ გაიტანა

ნაპოლი-მილანი 1:1
ორი მატჩის ჯამში: 1:2
ნეაპოლი. სტადიო მარადონა
0:1 ჟირუ (43), 1:1 ოსიმენი (90)

22-ე წუთზე ჟირუმ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

81-ე წუთზე კვარაცხელიამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ ნაპოლის ფინალისკენ მიმავალი გზა გახსნილი ჰქონდა. თუმცა, ბადის ამ მხარეს ფავორიტად მიჩნეულმა ნაპოლიმ ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწია.

ნეაპოლიტანელებს მილანში 0:1 ჰქონდათ წაგებული და საქმე შინაურ მარადონაზე უნდა მოესწორებინათ. ლუჩანო სპალეტის გუნდი დიდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდა. მილანელები განსაკუთრებით მჭიდროდ ხვიჩა კვარაცხელიასა და ვიქტორ ოსიმენს მეურვეობდნენ, თავს კი, დიდი ძალებით იცავდნენ, მაგრამ არც სწრაფ კონტრშეტევებზე გადასვლას ერიდებოდნენ.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ კონტრშეტევას მოჰყვა რაფაელ ლეაოს მოპოვებული პენალტი, რომელიც ოლივიე ჟირუმ ვერ გამოიყენა – მეკარემ აუღო. ჟირუს და მერეტის კიდევ ერთი დუელი მეკარემ მოიგო, მაგრამ ფრანგმა ფეხბურთელმა თავისი მაინც გაიტანა და ისევ ლეაოს დიდებული თამაშის შემდეგ და შესვენებაზე მილანი კომფორტული უპირატესობით გავიდა.

ანტრაქტის შემდეგ ნაპოლი კიდევ უფრო გააქტიურდა. მათ უკვე ორი გოლის გატანა ესაჭიროებოდათ. ნაპოლის შეტევებში ფანტაზია აკლდა და მხოლოდ საჯარიმოში ჩაწოდებებით შემოიფარგლებოდნენ. მთელი თამაშის მანძილზე ნეაპოლელებმა ბურთი საჯარიმოში 46-ჯერ ჩააწოდეს. აქედან გოლით ერთი დასრულდა და ისიც, მატჩის ბოლო წამებზე, როდესაც, ფაქტობრივად, დრო აღარ რჩებოდა.

ნაპოლის გატანა მანამდეც შეეძლო, მაგრამ 81-ე წუთზე მილანის კარში დანიშნული პენალტი კვარაცხელიამ ვერ გაიტანა – ჩვენებურს მეკარემ აჯობა.

მილანმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ამ სეზონში ნაპოლის წინააღმდეგ თამაში ყველაზე უკეთ გამოსდის. „შავწითლები“ 2007 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ ნახევარფინალში.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რაფაელ ლეაო

მაგრი მატჩი ჩაატარა პორტუგალიელმა და დიდი სამუშაო გასწია. მილანელთა მარჯვენა ფლანგელი დაცვასაც ეხმარებოდა, შეტევაში კი მის გარეშე გუნდს არაფერი გამოსდიოდა. ყველა მომენტი, რაც ნაპოლის კართან შეიქმნა, პორტუგალიელის დამსახურებაა.

ლუჩანო სპალეტი:

– პირველ მატჩში მსაჯს ცალსახად ნეგატიური შეფასება ჰქონდა, დღესაც, 37-ე წუთზე აშკარა პენალტი იყო, შეუძლებელია ეს ვერ დაინახო. მარჩინიაკი ნომერ პირველი მსაჯია, მომენტს ვიდეოზეც უყურეს, შესაბამისად, გამოდის, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მილანის წარსულს გავლენა აქვს!

ვულოცავ მილანს გამარჯვებას, მაგრამ ჩემს გუნდსაც ვულოცავ იმ გზას, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე გავიარეთ. ორი თამაშის ჯამში უკეთესები ვიყავით, მაგრამ ბევრი ფეხბურთელი გვყავდა ტრავმირებული და ენერგია გამოცლილი. მომენტების წაკითხვაში გამოუცდელობა დაგვეტყო.

– კვარაცხელიას ზედმეტი პასუხისმგებლობა ხომ არ დავაკისრეთ, თუნდაც მეტსახელების გამო, კვარავაჯო, კვარადონა... ხომ არ გადავაჭარბეთ?

– თავიდან ვცდილობდი ამ მეტსახელებსა და მასზე განხორციელებულ ზეწოლაზე პოზიცია დამეფიქსირებინა, მაგრამ შემდეგ დავნებდი. კვარა ჯანსაღი ბიჭია, მგრძნობიარე, საოცარი ხარისხი აქვს. პირველ ტაიმში ვერ მოახერხა მეტოქის მოტყუება, როცა ამის შანსი ჰქონდა, მაგრამ, მეორე ტაიმში ორჯერ გიჟურად ითამაშა და მომენტები შექმნა. ბოლოს ისიც დაიღალა, როგორც სხვები. ჩანს, რომ ბოლო დროს დაღლილობის გამო გაუჭირდა. თუმცა, კარგად ვითამაშეთ, ისე, როგორც გვინდოდა. კვარაცხელია შესანიშნავი ბიჭია, ბედნიერი ვარ მასთან მუშაობით და თავისი ხარისხით დაგვეხმარება იმ დიდი მიზნის მიღწევაში, რომელიც წინ გვაქვს. ჩვენ ის გვჭირდება.

სტეფანო პიოლი:

ყველა მატჩში არის მსაჯის გადაწყვეტილებები, რომელთა განხილვა შეგვიძლია. ფაქტია, რომ დღეს მოედანზე მსოფლიოს საუკეთესო მსაჯი იყო.

მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა და ნახევარფინალში დამსახურებულად გავედით. კალაბრიამ კვარაცხელიას წინააღმდეგ კარგად ითამაშა, მაგრამ ის მაინც ქმნიდა რაღაც მნიშვნელოვანს, როგორც ეს მეორე ტაიმის დასაწყისში გააკეთა. კალაბრიამ შესანიშნავად კი ითამაშა, მაგრამ თანაგუნდელებიც ძალიან დაეხმარნენ. ადვილი არ არის კვარაცხელიას შეჩერება, რომელიც ძალიან ძლიერი ფეხბურთელია.

ახლა მირჩევნია ამ გამარჯვებით დავტკბე, ვიდრე იმაზე ვიფიქრო, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე ნახევარფინალში. ნებისმიერ შემთხვევაში დიდებული – ნახევარფინალი.

გველოდება. ნაპოლი კი „სკუდეტოს“ დამსახურებულად მოიგებს. ჩვენ ამიტომ, კიდევ უფრო ვამაყობთ, რომ მისი ბარიერი დავძლიეთ.

ჩელსი-რეალი 0:2
ორი მატჩის ჯამში: 0:4
ლონდონი. სტამფორდ ბრიჯი
0:1, 0:2 როდრიგო (58, 80)

ლონდონელებს ორბურთიანი ჩამორჩენა ჰქონდათ აღმოსაფხვრელი. თუმცა, რეალის წინააღმდეგ ეს რომ რთული საქმეა, ახალი ამბავი არ არის. თითქმის თანაბარ თამაშში მადრიდელებმა ისევ ორი ბურთით იმარჯვეს.

არადა, სანამ როდრიგო დუბლს შეასრულებდა, მანამდე ჩელსისაც შეეძლო გატანა, მაგრამ კანტემ და კუკურელიამ ვერ მოახერხეს. პირველ ტაიმში ვერ გაიტანა როდრიგომაც – ბურთი ძელს გაარტყა.

სამაგიეროდ, ბრაზილიელმა მიზანი მეორე ტაიმში გაისწორა და ჩელსის ორჯერ გაუტანა. როდრიგოს პირველი გოლის შემდეგ ანჩელოტიმ რამდენიმე კიდერი დაასვენა, რადგან მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – როდრიგო

აქ ბევრი ფიქრი საჭირო არ იყო. ბრაზილიელმა რეალი ნახევარფინალში გაიყვანა. უკვე მერამდენედ ხდება, როდესაც ბენზემას თამაში არ მისდის, მშველელად სწორედ როდრიგო ევლინება.

ლაზარე კუპატაძე: „ნაკრებში დასაბრუნებლად ვიბრძოლებ“

იყო დრო, ლაზარე კუპატაძეს საქართველოს ნაკრებში იწვევდნენ. 27 წლის მეკარე ბათუმის დინამოსთან ერთად საქართველოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ მოულოდნელად აჭარული გუნდიდან გაუშვეს.

გარკვეული პერიოდის უქმობის შემდეგ კუპატაძე საბურთალოში აღმოჩნდა, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა. ახლა ლაზარე ნელნელა სპორტულ ფორმას უბრუნდება.

– საბურთალოში რამდენიმე მატჩი ითამაშე. ახლა თავს როგორ გრძნობ, როგორ სათამაშო ფორმაში ხარ?

– იდეალურ ფორმაში არ ვარ, მაგრამ უკეთესობა რომ არის, ვგრძნობ. იმედი მაქვს, მალე ყველაფერი კარგად იქნება. ყველანი გვერდში მიდგანან და ძალიან მეხმარებიან – როგორც მთავარი მწვრთნელი და მეკარეები, ასევე სამწვრთნელო შტაბი. როგორც ყოველთვის, კლუბისგან ყოველთვის ვგრძნობდი და ვგრძნობ გვერდში დგომას. ვისარგებლებ შემთხვევით და ყველა ადამიანს მადლობას გადავუხდი.

– ჩემპიონატის სტარტზე რას იტყვი?

– ჯერ ახალი დაწყებულია. ამ დროისთვის გუნდი სასურველ კონდიციებში არაა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო მეტი ქულის აღება, მაგრამ რამდენიმე შეხვედრაში არ გაგვიმართლა. შეგვიძლია, რომ ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩავატაროთ, ამის თქმის საბაბს გუნდში არსებული კონტინგენტი მაძლევს. საბურთალო კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, ნამდვილად არის მომატების პოტენციალი და ვფიქრობ, ასეც იქნება.

– საბურთალო მრავლად ზრდის ნიჭიერ და წარმატებულ ფეხბურთელებს, ასევე გამოსარჩევია მეკარეების სკოლაც. ვარჯიშები ახალგაზრდა მეკარეებთან ხშირად გიწევს. ამ კუთხით, როგორი თამობა მოდის?

– არამარტო მეკარეები – საბურთალოში ყოველთვის იზრდებოდნენ და იზრდებიან როგორც ნიჭიერი მეკარეები, ასევე ფეხბურთელები. მაშინაც, როდესაც არ ვთამაშობდი, საბურთალოს ფეხბურთელებს ყოველთვის თვალს ვადევნებდი. ახალგაზრდა მეკარეები პერსპექტიულები არიან და ყველაფერი აქვთ იმისთვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშონ.

– კლუბში რამდენიმე ახალწვეულია, რაც გუნდთან შეგუებას საჭიროებს. ამ კუთხით როგორი გარემოა?

– რა თქმა უნდა, დიდ ნაწილს ვიცნობდი, მაგრამ რამდენიმე მათგანი შეკრებაზე გავიცანი. ბევრს ვსაუბრობთ და ვხუმრობთ გასახდელში, ასევე სხვადასხვა თამაშებს განვიხილავთ. გარემო მშვენიერია, ეს წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა.

– ამ გადასახედიდან, გუნდს სამეულისთვის ბრძოლა შეუძლია?

– ყველაფერი შესაძლებელია, ბევრი რამ ჩვენს ხელშია. მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ყველამ. ერთი მიზნისკენ ვისწრაფვით, მჯერა, შედეგი გვექნება.

– რამდენიმე ხნის წინ ბათუმში იყავით, სადაც დინამოს წინააღმდეგ ითამაშეთ. საინტერესოა, როგორ დაგხვდნენ აჭარლები?

– ძალიან ემოციური იყო ბათუმში ჩასვლა უკვე სტუმრის სტატუსით. აჭარაში გულშემატკივრებისგან განებივრებული ვარ ყურადღებით და სითბოთი. ეს სპორტია, სამწუხაროდ, მომიწევს მათ წინააღმდეგ თამაში, მაგრამ მინდვრის გარეთ ჩვენ მეგობრებად ვრჩებით. დღე არ გავა, სოციალურ ქსელში ბათუმიდან ვინმემ არ მომწეროს, ვინმემ არ მომიკითხოს. აინტერესებთ ჩემი მდგომარეობა და წარმატებებს მისურვებენ.

– როდისთვის შეიძლება ისევ ვიხილოთ ლაზარე კუპატაძე ეროვნულ ნაკრებში?

– ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე ნაკრებში. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. თუ არ ჩავთვლით ბოლო ორ გამოძახებას, მანამდე სისტემატურად ვიყავი გამოძახებული. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული – ვფიქრობ, მალე დავბრუნდები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲠᲩᲐ

ჩოგბურთელ ქალთა ევროპაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფში საქართველო ნახევარფინალში კი გავიდა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და მომავალ წელსაც ამავე ჯგუფში იასპარეზებს.

ევროპაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში გადასასვლელი საგზურისთვის 11 ნაკრები იბრძოდა, რომლებიც ორ ჯგუფში გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: საბერძნეთი, ისრაელი, ბოსნია, პორტუგალია, მალტა;

ბ ჯგუფი: საქართველო, ლიეტუვა, ესტონეთი, ირლანდია, სამხრეთი აფრიკა, კოსოვო;

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ დაამარცხა ირლანდია (2:1), სამხრეთი აფრიკა (3:0), ლიეტუვა (2:1) და კოსოვო (3:0), ხოლო ესტონეთთან (0:3) წააგო.

თუმცა, ჩვენი გუნდი ფლეი ოფში მაინც გავიდა, სადაც ა ჯგუფის პირველადგილოსან პორტუგალიას დაუპირისპირდა. საქართველოს ნაკრები 0:2 დამარცხდა, რადგან წყვილების დაპირისპირება ვეღარაფერს შეცვლიდა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: ეკატერინე გორგოძე, სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა, ნათელა ძალამიძე, ნინო ნაცვლიშვილი და კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი.

ᲤᲘᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲡ

ევროპულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) მიიღო გადაწყვეტილება, რუსეთის კალათბურთის ნაკრები 2024 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც ზაფხულშია დაგეგმილი, არ დაუშვას. ამ ამბავს ფიბა ოფიციალურად 28 აპრილს გამოაცხადებს.

ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი 12-20 აგვისტოს გაიმართება. თავდაპირველად საგზურებისთვის ერთმანეთს 40 ნაკრები შეებრძოლება. 28 მათგანმა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ითამაშა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა.

შემდეგ მოდიან გუნდები, რომლებიც მსოფლიოს პირველობის პირველ ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდნენ, მაგრამ რეგიონში საუკეთესო რეიტინგი ჰქონდათ: მალი (აფრიკა) ჩილე, კუბა და ვირჯინიის კუნძულები (ამერიკა), ტაივანი, ინდონეზია, ს.კორეა და სირია (აზია), ჩრ.მაკედონია, პოლონეთი და პორტუგალია (ევროპა).

მე-12 საგზური რუსეთის იყო, როგორც ევროპაში საუკეთესო კოეფიციენტის მქონეს. თუმცა, ფიბა-მ სხვაგვარად ჩათვალა და რუსეთს ბულგარეთი ჩაანაცვლებს.

ოლიმპიური თამაშები 2024 წელს პარიზში გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲤᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

18 აპრილი
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ
ᲣᲔᲤᲐᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲐ

ნაპოლი-მილანი	1:1
ჩელსი-რეალი	0:2

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘ�გᲐ

ბლექპული-ვესტ ბრომვიჩი	0:2
როტერჰემი-ბარნლი	2:2
სანდერლენდი-ჰადერსფილდი	1:1
სტოკი-უიგანი	0:1
შეფილდი-ბრისტოლი	1:0
მილუოლი-ბირმინგემი	0:1

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣ�პᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ალანია-გალათასარაი	1:4
ქარაგუმრუქი-უმრანიე	4:2

ქარაგუმრუქის პირველი გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲘᲮᲝᲡᲕᲝᲰᲘᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. ებრაელთა რელიგიური საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 3. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი ადგილი; 4. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი მორალური ადამიანური ღირებულება; 9. ქართველი მხედართმთავარი, მარშალი; 12. მწვერვალ ჯომოლუნგმას მეორე სახელწოდება; 13. ქალაქი იმერეთში; 16. მოკლე, მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

თარაზულად: 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 11. აფრიკული შხამიანი ბუზი; 14. ქართველ მწერალ ოტია იოსელიანის მშობლიური სოფელი; 15. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. სახელმწიფო ევროპაში; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. თოკებით სამართავი თეატრალური თოჯინა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. სუნაკი; 2. სირჩა; 3. ფლირტი; 4. ჯილღაო; 6. მადიარი; 9. პეტრა; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. ფაველა; 17. კელასური; 19. ეშელონი; 21. კუბრიკი; 22. ალგეთი.

თარაზულად: 5. წუწურაქი; 7. ამსტელი; 8. ილიადა; 10. ბეითალი; 12. აიეტი; 13. ფლავი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. ხარება; 23. ქლიავი; 24. ბახი; 25. გელაპი; 26. თუნი; 27. იკარუსი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ხუნდაძე; 2. ფარღული; 3. დისკუსია; 4. მულინე; 5. ხარფუხი; 8. მიტარბი; 9. სელადონი; 12. ტრაპეცია; 13. სიცილია; 17. თურინჯი; 19. ბეზოსი; 20. ფერაძე.

თარაზულად: 6. ფუქსავატი; 7. რუსთავი; 8. მაკეტი; 10. ბაიყუში; 11. ბუკე; 14. ღლიღვები; 15. სანთიობო; 18. დალესი; 21. ემისარი; 22. მენჯი; 23. იშხანი; 24. ჯამბაზები.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

20 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5170	ევრო — 2.7536
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1284	100 რუსული რუბლი — 3.0805

ამინდის პროგნოზი 20 აპრილისათვის

სპალეტი: „კვარაცხელია ძალიან გვჭირდება“

ნაპოლიმ საკუთარ მოედანზე მილანთან ფრე 1:1 ითამაშა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. ხვიჩა კვარაცხელია მთელი მატჩის მანძილზე აქტიური იყო და მან მაღალი შეფასება დაიმსახურა. ლუჩიანო სპალეტიმ ასევე შეაქო ხვიჩა და თქვა, რომ ის ნაპოლის ძალიან სჭირდება: „კვარაცხელიამ ძალიან კარგად ითამაშა და ის მთელი მატჩის მანძილზე ცდილობდა, რომ მეტოქე გუნდის კართან ხიფათი შეექმნა. სამწუხაროა, რომ მან პენალტი ვერ გაიტანა. ხვიჩა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, მსაჯმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რომლებმაც შედეგზე გავლენა მოახდინეს“.

ანჩელოტი: „რეალი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია“

მადრიდის რეალი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა და მათ ჩელსის ბარიერი საკმაოდ ადვილად დაძლიეს. კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი ყოველთვის ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია: „მიხარია, რომ ნახევარფინალში გავედით, მაგრამ ჩემთვის ეს გასაკვირი არ ყოფილა. რეალმა იცის, თუ როგორ ითამაშოს ამ ტურნირში და ჩვენ ყოველთვის ფავორიტები ვართ“.

მარკუს რეშფორდი სევილიასთან ითამაშებს

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდი მარკუს რეშფორდი სევილიას წინააღმდეგ თამაშს შეძლებს, რადგან მან ტრავმა მოიშუშა და ის მზად არის მოედანზე გამოსასვლელად. ერიკ ტენ ჰაგმა თქვა, რომ ის იმედებს ამყარებს მარკუსზე, რადგან იცის, რომ მას შეუძლია მარტომ გადაწყვიტოს თამაშის ბედი. პირველი შეხვედრა მანჩესტერში, ფრედ 2:2 დასრულდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მოზარდი სათამაშო ავტომატში გაიჭედა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ შარლოტში 13 წლის მოზარდი სათამაშო ავტომატში შეძვრა და გაიჭედა.

აღნიშნული შემთხვევა 17 აპრილს გასართობ პარკში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოზარდი სათამაშო ავტომატიდან შიგნით მოთავსებული ნივთების მოპარვას ცდილობდა, თუმცა მისი ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მოზარდი სათამაშო ავტომატიდან ექიმებმა ამოიყვანეს და იქვე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შემდეგაც ბიჭი სახლში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 აპრილისათვის

ვერძი – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კურო** – მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** – ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანცელი** – იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** – გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **ვერცხლი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** – სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ორი ხანდაზმული დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი პირველი კოცნა გახსოვს?

– რას მეუბნები, ჩემი პირველი ქმარიც კი არ მახსოვს!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ოდესმე მანქანა დაგჯახებია?

– კარგი, დაგიბრუნებ შენ ვალს, უეჭველად დაგიბრუნებ!

•••

მოდელ გოგონას ეკითხებიან:

– რამდენი ასოა ანბანში?

– ექვსი.

– ექვსი? ჩამოთვალე.

– ა,ნ,ბ,ა,ნ,ი.

•••

სამსახურში თანამშრომელი თვალჩალურჯებული მივიდა. კოლეგა ეკითხება:

– რა დაგემართა?

– იცი რა, უძილობა მტანჯავს და ამიტომ ყოველ ღამე, სამ საათზე, ვინმეს ნომერზე ვრეკავ და გაღვიძებულს ვეკითხები: „აბა, თუ გამოიცნობ, ვინ ვარ?“

– მერე?

– გუშინ ერთმა გამოიცნო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლაიონელ რიჩი ნუცა ბუზალაძეს: „დიდებული სამუშაო გასწიე“

– ასე შეაფასა „ამერიკის ვარსკვლავის“ ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ლაიონელ რიჩიმ ქართველი კონკურსანტის ნუცა ბუზალაძის გამოსვლა შოუში.

რჩეულმა კონკურსანტებმა, სადაც ერთადერთი უცხოელი მონაწილე ქართველი ნუცა ბუზალაძეა, ჰავაიზე კიდევ ერთხელ იმღერეს ჟიურისა და დამსწრე საზოგადოებისთვის. რჩეულთათვის ამჯერად ხმის მიცემა იყო შესაძლებელი, რადგან რამდენიმე მათგანი პროექტს გამოეთიშება. კონკურსანტებისთვის ხმის მიცემის შედეგები ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

ზაზა შენგელია:

– ლეგენდარულმა ლაიონელ რიჩიმ ამჯერად თავის ტვიტერის ექაუნთზე დადო პოსტი ნუცას შესახებ, რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება – „ის გავლენა, რომელიც შენ გაქვს აუდიტორიაზე, არ ისწავლება, დიდებული სამუშაო გასწიე“. ეს უკვე მეორე დიდი აღიარებაა უდიდესი მუსიკოსის, მაიკლ ჯექსონთან ერთად, ყველა დროის საუკეთესო ჰიტის, „ვი არ ზი ვორდ“-ის თანაავტორის მხრიდან.

ვფიქრობ, ბატონი ლაიონელი ნუცას მთავარი ლობისტია ამ კონკურსზე, თან ამას ვწერ და თან არც კი მჯერა, რომ ეს ცხადში ხდება, რაც ძალიან მიხარია, რადგანაც ჟიურის წევრებისგან, სწორედ მისი აზრი ნუცაზე არის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პირადად ჩემთვის. უმნიშვნელოვანესია, რომ ლაიონელ რიჩიმ ეს პოსტი, სადაც ნუცასთვის ხმის მისაცემი ნომერიც წერია, მაშინ გამოაქვეყნა, როცა ჯერ კიდევ ხმის მიცემის დროითი ფანჯარა არ იყო დახურული. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

ელენე ნავერიანის ფილმს კანის კინოფესტივალზე აჩვენებენ

რეჟისორ ელენე ნავერიანის ფილმს „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენებენ. ფილმი რეჟისორმა მწერალ თამთა მელაშვილის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაიღო.

კანის წლევანდელი კინოფესტივალი 16 მაისს გაიხსნება და 27 მაისამდე გასტანს. წითელ ხალიჩაზე მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად ქართველი ხელოვანებიც გაივლიან. ქართველი რეჟისორის ნამუშევარი კანის კინოფესტივალის კონკურსში მსოფლიოს მასშტაბით 30 ფილმს შორის მოხვდა.

ინფორმაცია მსახიობმა ეკა ჩავლეიშვილმა გაავრცელა:

– კანის კინოფესტივალზე მივდივართ! უღრმესი მადლობა თითოეულ თქვენგანს! ჩვენი საქმის არანორმალური სიყვარულით, შეუძლებლის შეძლებით, ბოლომდე ერთმანეთის გვერდში დგომით, ჩვენ ეს მოვახერხეთ! გილოცავთ მეგობრებო!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ლანა ღოღობერიძე: „ვიფიქროთ დღეს. ვიმოქმედოთ დღეს“

კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ მაყურებელს ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი შესთავაზა „დედა-შვილი ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი“. კინოთეატრ „ამირანში“ გამართულმა ფილმის პრემიერამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

თავად ლანა ღოღობერიძემ ფილმთან დაკავშირებით განაცხადა:

– პირველი, ვინც იმ საღამოს დიდი გულწრფელობით მომილოცა ფილმი, ელდარი იყო. ეს უკვე ტრადიციაა, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს. გავაგრძელოთ ეს ტრადიცია, ელდარ! ის ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდობაში დაბადებული კინო-მეგობრობა კიდევ სხვა რამეა.

„კათარზისი განვიცადეო“ – დაწერა ფილმზე ნინო ჟვანიამ. მე უბრალოდ ბედნიერი ვარ, თუ ეს მოხდა, იმიტომ, რომ ხელოვნების ნაწარმოებს ამაზე დიდი დანიშნულება არა აქვს.

ბედნიერი ვარ იმ ცრემლების გამო, რომლებიც დაიღვარა იმ დღეს „ამირანის“ დარბაზში, რადგანაც ის ცრემლები სწორედ კათარზისია. განწმენდა. განწმენდა კი რაღაც ეტაპზე სჭირდება ყველა ადამიანს და მთლიანად ერს.

ნინო ჟვანია აღწერს ფილმის პროლოგს: ძველი, გაცრეცილი ფოტოები, სადაც დედა-შვილი ეხვევიან ერთმანეთს. „პირველად გავიაზრე, როგორ გავს ერთმანეთს შეხვედრა და დაშორება. ჰოდა, სულ ამაზე მეფიქრება“...

მეც ამაზე მეფიქრებოდა, ნინო. ორი ადამიანი ეხვევა ერთმანეთს და ეს შეიძლება შეხვედრაც იყოს და დაშორებაც. ისევე, როგორც ცრემლი – შეიძლება შეხვედრისაც იყოს და დაშორებისაც.

და მთელი ჩვენი სიცოცხლეც, რომელი უფროა – შეხვედრა თუ დაშორება?

„ფილმი შეხვედრაზეა, რომლის გეშინია. გეშინია იმიტომ, რომ მას ახლავს რისკი, იმიტომ, რომ მახსოვრობის დაძაბვას მოითხოვს, იმიტომ, რომ მას მოსდევს დაშორება“ – წერს ზურა ჭიაბერაშვილი. და კიდევ:

„ფილმი ფერებზეა, რომლებიც ბავშვობიდან დაგდევს. ამ ფილმში ეს ლურჯი ფერია“.

მე მართლაც ფილმისთვის შექმნილი კოლაჟების ლურჯი ნაფლეთებით მინდოდა შემექმნა ჩემი ხანმოკლე ბედნიერი ბავშვობის ხატი, რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ყველა ჩხრეკა და კონფისკაცია...

„დედის ამბავი, რომელიც ავტორის ამბავიცაა და ქვეყნის ამბავიც, რომელიც ყველა ჩვენგანის ამბავი ყოფილა... ტრაგედია, რომელიც შეჯამების და გადარჩენის პოეზიად იქცა“ – დაწერა ლაშა ბუღაძემ და ფილმს „პოეტური კინოლაბირინთი“ უწოდა.

და ბოლოს, მინდოდა ფილმიდან დარჩენილიყო დედას შექმნილი მართლაც ძალიან ძლიერი მხატვრული ხატი: ჭაობი, იგივე „უჟმური“, ანუ საბჭოთა სისტემა, რომელიც ითრევს ფსკერისკენ ყველას და ყველაფერს, კამეჩს თუ ადამიანს. მაგრამ ადამიანი მაინც გადარჩება, იმიტომ, რომ მას სხვა ადამიანები მიეხმარებიან...

მოყვანილი ციტატები იმიტომ ამოვკრიფე, რომ მათში ხაზგასმულია ის, რაც ძირითადი იყო ჩემთვის.

ფილმი – კინოლაბირინთი... ცხოვრება კი – ნამდვილი ლაბირინთი, საიდანაც მთელი შენი არსებობის მანძილზე გზის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან რომი; 2. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 3. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 4. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 6. ქართველ მწერალ არსენ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. ქართველ საესტრადო მომღერალთა დუეტი; 11. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 21. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 22. სამშენებლო ნარევი.

თარაზულად: 5. მზის სისტემის პლანეტა; 7. მდინარე კახეთში; 8. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 10. ქურციკის მეორე სახელწოდება; 12. ინდოეთის ეროვნული გმირი; 13. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 20. ჩოგბურთის ფუძემდებელი საქართველოში; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 24. მკბენარა მწერი; 25. უღელტეხილის ქართული სახელწოდება; 26. გემბანის წინა ნაწილი; 27. უცოდინარი, უვიცი ადამიანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა